№ 62
ხუთშაბათი, 21 მარტი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

1877—1902

ივერია

ტფილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 62
ხუთშაბათი, 21 მარტი 1902 წ.

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, № 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონ პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხე ხეზედ—5 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227.

მღვდელნი **სიმონ და ავქსენტი სახოკიები** აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ შაბათს, 30 მარტს, ს. შხეფში (სენაკის მაზრა) გარდახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის სტუდენტის

სამსონ სახოკიასი

(3—6.—1.)

1 მარტიდგან წლის დამლევამდე გაზეთი

„ივერია“

ღირს **რვა მანეთად და თხუთმეტ შაურად** (8 მ. და 75 კ.)

ამ ფულის შემოტანა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში:—„ივერიის“ რედაქცია (ნიკოლოზის ქუჩა № 21) და ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებ. საზოგ. წიგნის მაღაზია (სასახლის ქუჩა, თავ.-აზნაურ. ქარვასლა).
ქუთაისში:—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიასა და ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზია.
ბაქოში:—ხიდდეკელის წიგნის მაღაზია (ნიკოლოზის ქ., ქალანთარის ქარვასლის პირდაპირ).
ხონში:—ნესტორ წერეთლის წიგნის მაღაზიაში.
შორაპანში:—პართენ ნასიძესთან.

ცალკე ნომრები, ტფილისს გარეთ, იყიდება **ქუთაისსა** და **ხონში** ზემოხსენებულს წიგნის მაღაზიებში.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція „Иверія“. ტელეფონი № 227.

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი“

სურათებიანი დამატებით

1-ლ აპრილიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქ გარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 5 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція „Цнобисъ-Пурцели“ (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова). (2—1)

სამკერვალო

ქალთა ტანისამოსისა.

ვღებულობთ ქალთა ტანისამოსს შესაკერად

ყველასათვის ხელ-მისაწვდენ ფასად.

ვიყვანთ შეგირდებს და ვაძლევთ გაკვეთილებს ჭრა-კერვისას და სხვა-და-სხვა ხელთ-საქმისას.

ტფილისი. წმ. გიორგის (ქვაშვეთის) ქუჩა, სახლი არჯევანიძისა, № 12, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ.

ჭრა-კერვისა და ხელთ-საქმის სახელოსნოს გამგე **ანა მერკვილაძისა**.
(13—287—5)

ტფილისსის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი წესდების 91 §-ის ძალით ამით აუწყებს ბბ-ნთ რწმუნებულთ, რომ აპრილის 25-ს ამა 1902 წლისას, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში დანიშნულია

მორიგი წლიური კრება

განსახილველი საგნებია:

1. ზოგადი მოხსენება ბანკის მოქმედების ანგარიშის შესახებ 1901 წ.
2. განხილვა და დამტკიცება ბანკის მოქმედების ანგარიშისა 1901 წლისა.
3. განხილვა და დამტკიცება ბანკის სავარაუდო შემოსავლისა და ხარჯთ-აღრიცხვისა 1902 წლისათვის.
4. მოხსენება კომისიისა, რომელშიაც არიან წევრნი ბანკის ზედამხედველის კომიტეტისა და გამგეობისა ბ-ნთ რწმუნებულთა არაჩვეულებრივ კრების იმ გარდაწყვეტილებისა, რომელიც წარსულ 1901 წლის დეკემბრის 10 იქმნა დადგენილი.
5. არჩევანები გამგეობის ორის წევრისა იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ თავიანთ თანამდებობას, ესე იგი უგანათ. თ. მიხეილ გრუზინსკისა და ქრისტეფორე იოსების-ძის მამაცაშვილის მაგიერ და ორის მათის კანდიდატისა, დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, ერთისა თ. ლევან ლევანის-ძის ჩერქეზიშვილის მაგიერ, რომელიც რიგით ანებებს თავს დამფასებლის თანამდებობას და მეორისა იმ ორის მაგიერ, რომელნიც შარშან იქმნენ ამორჩეულნი, ესე იგი თ. ი. გ. ჯორჯაძისა და თ. გ. ი. რატიშვილის მაგიერ და აგრეთვე არჩევანი მათის კანდიდატებისა.

შენიშვნა: კრება რწმუნებულთა კანონიერად იქმნება ცნობილი, რამდენიც უნდა იყოს რიცხვი კრებაზედ მოსულ რწმუნებულთა.
(3—6.—3)

ექიმი

ალექსანდრე გიორგის ძე
მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშვო სნეულებით ავადმყოფებს დილის 12—2-დე და საღამოთი 4—5-დე. მიიღებს აგრეთვე ს-ა ექიმო ქიმიურ-მიკროსკოპიულ და ბაქტეროლოგიურ გამოკვლევათ. ოქრომჭედლების ქუჩა, № 40, თულაევის სახლი. (წ.)

ექიმი

ვახტანგ ღამბაშიძე

სწამლობს შინაგანსა და საბავშვო სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილის 9 საათიდგან 10-მდე და საღამოს 5-დგან 7-მდე. რეუტის ქუჩა, № 24. ტელეფონი № 642. (წ.)

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 ს., გარდა ხუთშაბათისა და შაბათისა.

ე. გ. ფედოროვი—შინაგან და ბავშვებისა 9—10 საათამდე.

გ. გ. მაღალაშვილი—შინაგან: სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 ს.

ნ. ტ. მულინი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათ.

ვ. დ. ღამბაშიძე—შინაგან ავადმყოფობათა 10—11 საათ., სამშაბათობით და ხუთშაბათობით 1—2 საათ.

კ. მ. ელიოზიშვილი—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა, 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინაგანი, 12—1 საათ.

ა. გ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით, 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო—ხირურგია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანის და საშარდესი, 1—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი, 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი—შინაგან და ბავშვებისა, 5—6 საათ. მიკრო-ქიმიური და საბაქტეროლოგო გამოკვლევანი.

გ. ს. დავიდოვი—ბავშვებისა და შინაგან სნეულებათა, 7—8 საათ.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი—10—12 საათ., შინაგან ავადმყოფობათა. (წ.)

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

გ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ყ. მ. ჩიქოვანი. 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ყელისა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

კ. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, თვალისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი, 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შაპკოვსკი. 6 7 ს. ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგან და ვენერიულ ავადმყოფობათა.

გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница д-ра Навасаріанца. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.)

სეტყვა და მის წინააღმდეგ ბრძოლა

V

ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნეთ ის ფაქტი, რომ ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა გადასწყვიტა ექსტრა-ორდინარი თანხით შემწეობა აღმოუჩინოს იმ ადგილების მემამულეთ, რომელნიც უფრო ხშირად ისეტყვებიან, ხოლო საქმის გამოსარკვევად აირჩია ცალკე კომისია.

ამ კომისიას უკვე წარუდგენია ზედამხედველ კომიტეტისათვის თავისი მოსაზრებანი მორტირების სტანციების მოწყობის შესახებ და ზედამხედველს კომიტეტს, თავისდა სასახელოდ, ეს ფრიად საყურადღებო საკითხი სასურველად და საბოლოოდ გადაუწყვეტია ამ სახით:

1) გამოსაცდელად დაარსდეს ტფილისის სააღგილ-მამულო ბანკის საფასით 15 მორტირის სტანცია თელავის მაზრის რომელსამე ადგილს;

2) საჭირო ხარჯი ამ საქმისათვის გაიცეს ექსტრაორდინარ თანხიდგან და, კომისიის მოხსენებისამებრ, ხარჯთ-აღრიცხვა შეთანხმებულ იქმნას საუფლისწულო მამულის გამგეობის მიერ გამორკვეულ ხარჯთ-აღრიცხვასთან;

3) მოწყობა საქმისა და მისი მართვა მიენდოს „კახეთის“ საზოგადოების გამგეობას და კომიტეტის წევრთ თ-დ მაყაშვილს და ლეონიძეს იმ პირობით, რომ კომიტეტს აცნობონ, როგორც გეგმა, აგრეთვე შედეგი სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლისა;

4) ადგილს, სადაც უნდა მოხდეს გამოცდა, საბოლოოდ ირჩევს შეერთებული კრება ბანკის ზედამხედველ კომიტეტისა და „კახეთის“ საზოგადოების გამგეობისა და

5) საქმის გამგეთ სტანციების მოწყობისათვის საჭირო ფული ეძლევათ ბანკიდგან მხოლოდ მაშინ, როცა ზედამხედველ კომიტეტს წარმოუდგენენ სათანადო უწყებიდგან თოფის წამლის შეძენისა და შენახვის ნება-როვას.

ზემოხსენებულიდგან აშკარად სჩანს, რომ საქმე საქმეზედ მოსულა და მის ინიციატორს ბ-ნს გ. ჟურულს და სააღგილ-მამულო ბანკის ზედამხედველს კომიტეტს დიდი მადლობა ეკუთვნისთ. ხოლო არის ერთი მხარე საქმისა, რომლის მოწყობას დიდი დრო და მეცადინეობა უნდა—ჩვენ მოგახსენებთ თოფის-წამლის შეძენისა და იმის შენახვის უფლების მოპოვებას. საუფლისწულო მამულის გამგეობას კახეთში შარშან საქმე კინაღამ ჩაეფუშა მარტო იმიტომ, რომ თოფის წამლის შეძენისა და შენახვის უფლების მოპოვებას დიდი ხანი მოუნდა; თუ ეს ოფიციალ დაწესებულებას დაემართა, კერძო ინიციატივას უფრო მეტი დაბრკოლება აღმოუჩნდება და ამიტომ მივაქციეთ მკითხველის ყურადღება ამ გარემოებას.

თუ ყოველი მსურველი მორტირების სტანციების გამართვისა იძულებული იქნა თოფის წამლის შეძენისათვის იშუამდგომლოს, საქმე საგრძნობლად დაბრკოლდება და უმეტესს შემთხვევაში მიზანსაც ვერ მიაღწევს, ამიტომ საჭიროა რომელმამე დაწესებულებამ მოიპოვოს თოფის წამლის შეძენისა და შენახვის უფლება და ამ უფლებით ასარგებლოს დაინტერესებულნი მემაულენი.

ასეთ დაწესებულებად ჩვენ მიგვაჩნია კავკასიის საიმპერატორო სამეურნეო საზოგადოება, რომელმაც ამ საგნის გამოსარკვევად ერთის თვის წინად საგანგებო კომისია აირჩია.

კომისიამ უკვე დაამთავრა თავისი მუშაობადა დღევანდელ კრებას წარუდგენს თავისს მოხსენებას. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ სამეურნეო საზოგადოების დღევანდელი კრება დაკვირვებით განიხილავს კომისიის მოხსენებას და საქმეს სასურველ მიმართულებას მისცემს.*)

—

თუ ბანკის ზედამხედველ კომიტეტის განზრახული ცდა სეტყვის საბრძოლველად განხორციელდა, კახეთში იმოქმედებს წრეულს სამი ჯგუფი მორტირების სტანციებისა—ერთი ნაფარეულში, მეორე მუკუზანში და მესამე იქ, საცა გამართავს ბანკი.

სამი ჯგუფი სტანციებისა თვალსაჩინოდ გახდის კახეთის მემამულეთათვის—შესაძლებელია თუ არა მორტირების სროლით სეტყვის გაქარწყლება და თუ ეს ცდაც ისეთი ნაყოფიერი იქმნა, როგორიც იყო შარშანდელი ნაფარეულის მამულში, საქმე საბოლოოდ გამოირკვევა და არ გაივლის დიდი ხანი, რომ მთელს კახეთს მორტირების სტანციები მოეფინება.

ვ. ყ—ნი.

ახალი ამბავი

✦ დღეს ქალაქის გამგეობის დარბაზში დანიშნულია ორის კომისიის სხდომა, ცეცხლის ჩამქრობ რაზმისა და სასკოლოსი.

✦ დღეს, 21 მარტს, ტრამვაის მეთვალყურე კომისია გაშინჯავს ყორღანოვის ლიანდაგის (ავჭალის ქუჩა) ვაგონებს და ცხენებს. 25 მარტს იგივე კომისია დაათვალიერებს უსახელო საზოგადოების ტრამვაის ლიანდაგს, ცხენებს და ვაგონებს.

✦ გუბერნატორის განკარგულებით ამ დღეებში ქალაქის პოლიცმეისტერი კოვალიოვი გამოუცხადებს წისქვილების პატრონებს, რომ ყველა წისქვილის წინ უნდა გამართონ ბადესავით რამ მახე, რომ თუ ეტლი ან სხვა რამ წყლისგან მოტაცებული შეიმაგროს, ვიდრე მიეშველებიან.

✦ წარსულს კვირას, უეცრად გადაცვალებულის მღვდელ-მონაზონის ნიკოლოზის გასვენების დროს, ჰგალობდა სემინარიის მგალობელთა გუნდი გალობის მასწავლებლის ბ-ნ სულხანიშვილის ლოტბარობით. მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ გუნდმა რამდენიმეჯერ სცადა, მაგრამ ვერ მოახერხა ეთქვა ქართულად „უფალო შეგვიწყალენ“... უმაღლეს მთავრობისაგან ჩვენს სემინარიებში უუსაჭიროეს საგნად არის ცნობილი ქართული გალობა და ადგილობრივ-კი ასე უყურადღებოდ არის დატოვებული... ამას წინად, როგორც „ივერიის“ მკითხველებმა იციან, თვით საქართველოს ექსარხოსმა მიაქცია ამ გარემოებას ყურადღება და იმედია, აწ მაინც გაუმჯობესდება გალობის საქმე.

✦ ბორჯომი: ამ თვის 17-ს, შუადღეზე, გაუჩნდა ცეცხლი დიდის მთავრის ორ-სართულიან თავლას, სადაც ორასამდე ძროხა იყო მოთავსებული. მეორე სართულში იდგნენ მოსამსახურეები თავიანთის ცოლ-შვილით. ძროხების გამოყვანა მოახერხეს, ადამიანებმაც თავს უშველეს, ხოლო ავეჯეულობა სულ დაეწვათ. ცეცხლის გაჩენის მიზეზი არ იციან.

✦ იქიდგანვე: მარტის 17-ს, საღამოს 8 საათზე, აქ წარმოადგინეს შემახაში მიწის ძვრისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ „Волшебный звукъ“. წარმოდგენას ბევრი ხალხი დაესწრო.

✦ შავის ზღვის ნაპირად რკინის გზის გამყვან კავკავის რკინის გზის საზოგადოებისათვის მართებლობას დაუვალებია გზის დაყოლება რამდენსამე ადგილას გამართოს კურორტები და კლიმატიური სადგურები.

✦ სავალდებულო დადგენილებათა თანახმად, ტფილისის პოლიცმეისტერმა გამოუცხადა ყველა ბოქაულებს, რომ ნება არ მისცენ ხალხს ქალაქის განაპირა ადგილებში თავის მოყრისა და ქიდაობისა. აგრეთვე ტფილისის მაზრის უფროსს სთხოვა, რომ ხალხს ქალაქს ახლო თავის მოყრის ნება არ მისცეს.

✦ რედაქციას მოუვიდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისაგან ახალი გამოცემული წიგნი ჩვენის ნიჭიერ ბელეტრისტის დავ. კლდიაშვილის „მოთხრობანი.“ ამ გამოცემაში მოთავსებულია ორი მოთხრობა: „სამანიშვილის დედინაცვალი“ და „სოლომან მორბელაძე.“ წიგნი 198 გვერდიანია, ღირს ექვს შაურად.

✦ მარტის 23 საღამოს 7 საათზედ არტისტიულ საზოგადოების სადგომში დანიშნულია კრება ტფილისში მცხოვრებ მხატვრებისა, რომელთაც იწვევს თავმჯდომარე ხელოვნების წამქეზებელ კავკასიის საზოგადოებისა. ეს საზოგადოება რამდენიმე წელიწადია მიძინებული იყო და ახლა ჰსურთ ისევ გამოაცოცხლონ.

✦ სამეურნეო საზოგადოების გუშინ-წინდელს სხდომაზე განიხილეს მოხსენება კახეთში სეტყვასთან მორტირებით შებრძოლების შესახებ. მოხსენება მოიწონეს და დაადგინეს სთხოვონ მთავრობას საჭირო მორტირები და თოფის წამალი. ამ საქმეში საზოგადოებას ფულით დახმარება აღუთქვა ჩვენმა სააღგილ-მამულო ბანკმა, რომლის წარმომადგენელმა სხდომაზედ განაცხადა, რომ აღთქმულს ფულს ბანკი გამოიღებს მაშინ, როცა კომისიას მთავრობისაგან თოფის წამალი მოუვა.

✦ დეკანოზი მამა არდაზიანი სამსახურს თავს ანებებს. მისს თანამდებობაზე კანდიდატებად ასახელებენ დეკ. დიმ. ხახუტაშვილს და მღვდელს პლატონ გამრეკელს.

✦ ტფილისში უკვე გაზაფხული დადგა. ხეები ჯერ არ ამწვანებულა, მაგრამ თბილი და ხან-და-ხან ცხელი დღეებიც-კია.

✦ საქართველოს საექსარხოსოს საეკკლესიო-სამრევლო და წერა-კითხვის სკოლების მეთვალყურემ დეკანოზმა იოანე ვოსტორგოვმა შემდეგის შინაარსის მოხსენებით მიჰმართა მისს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას:

„1. რთველის ზოგიერთა ეპარქიის სკოლებში მასწავლებლებად სამრევლო ეკკლესიის მედავითნეები არიან, მეტადრე მაშინ, თუ ერთ მღვდელთან შტატით ორი მედავითნე დაწესებული. ძლიერ ხშირად მოხდება ხოლ-

---

*) სამეურნეო საზოგადოების კრებამ გაამართლა ჩვენი იმედი წუხანდელის (19 მარტის) დადგენილებით, რომლის ძალით საზოგადოებამ იკისრა მთავრობის წინაშე იშუამდგომლოს თოფის წამლის შეძენისა და შენახვისათვის.

რედ.

მე, რომ ამისთანა სკოლებში სწავლის საქმე ცუდს მდგომარეობაშია, რადგანაც ეკკლესიის წინამძღვარნი აცდენენ მასწავლებელთ გაკვეთილებზედ სიარულს. ასეთივე მოვლენა შენიშნულია იმ შემთხვევაში, როდესაც შტატით ორი მედავითნეა გამწესებული და, მაშასადამე, საჭიროც არ არის მასწავლებლის-მედავითნის მოცდენა სამრევლოს მედავითნის თანამდებობის აღსასრულებლად, რადგანაც მას მეორე მედავითნეც აასრულებს. ამიტომ კვადნიერდები და უმორჩილესად ვთხოვთ თქვენს მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობას, თუ შესაძლებელი იქნება, დაავალოთ ეპარქიის სამღვდელოებას, რომ თუ შტატში ორი მედავითნეა—მასწავლებელს მედავითნეს, ანუ მთავარს არავითარს შემთხვევაში არ გააცდენინონ მასწავლებლის თანამდებობა“.

ამ მოხსენებაზედ შემდეგი წარწერაა მისის მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობისა:

,,თანახმა ვარ. დაიბეჭდოს ,,სასულიერო მოამბეში“ ეპარქიის სამღვდელოების საყურადღებოდ“.

◆ ს. ახალ-ქალაქი (გორის მაზრა): აქ სცხოვრობს ერთი შემძლებელი ტერტერა, რომელსაც ჰყვანდა ერთად ერთი შვილი გიგლა. ამ გიგლას დაუნებებია თავი სახლ-კარისათვის და ათი წელიწადია გადაკარგული იყო რუსეთისკენ. ამ სამის წლის წინად ერთი ყმაწვილი კაცი ამ ტერტერასთან მივიდა და უთხრა: მე შენი შვილი გიგლა ვარო. შვილო, ვერა გცნობ, ჩემს შვილს კისერი მოგრეხილი აქვს და ცალი თვალი ცოტა დაშავებულიო, უთხრა ტერტერამ. შვილმა მიუგო; რამდენი ხანია რუსეთში ვარ და იქ კისერიც გამისწორეს და თვალიცაო! ტერტერა დაიჯერა, რომ იმისი შვილი იყო და დაიწყეს ერთად ცხოვრება, როგორც მამაშვილმა. ცოტა ხნის შემდეგ ,,გიგლას“ ავლაბარში ერთი ქალი მოსწონებოდა და ცოლათ შეერთო. ორისამის წლის შემდეგ წერილი მოუვიდა ამ ტერტერას, რომელშიაც ნამდვილი გიგლა სწერდა—აქა და აქა ვარ და გთხოვ ბილეთი გამამიგზავნოო. ტერტერა ამ წერილს არ ერწმუნა, რადგან ნამდვილი შვილი სახლში ეგულებოდა. ბოლოს მეორე ,,გიგლა“ დაიჭირა მთავრობამ და ეტაპით გაუგზავნა მამას ახალ-ქალაქში. ტერტერამ რომ ნახა ახლად მოსული, იცნო ნამდვილი შვილი, ისევ კისერმოგრეხილი და თვალ-გაბრუნდებული! ის წინანდელი ყალბი ,,გიგლა“-კი გადასცა სამართალს. ოლქის სასამართლომ ამას წინად გაარჩია ეს საქმე და აღმოაჩინა, რომ ეს ,,ძალით მამის მაძიებელი» გორელი ყოფილა და ცოლიც ჰყოლია. შემდეგ გახდომია ტერტერას შვილს ამხანაგათ და აქედგან სცოდნია ამ ტერტერას გარემოება, ამით უსარგებლია და შვილად მოჰკიდებია კიდეც. სასამართლომ სიყალბისა და ორ-ცოლიანობისათვის სამის წლით დაპატიმრება გადაუწყვეტა.

დროგამოშვებითი წერილები

I

> ღმერთმა სიტყვა მოგვცა, რომ აზრი გადავცეთ ერთმანეთს, ცრემლები, რომ მწუხარება ვიტიროთ, გული, რომ თანაგრძნობა გამოვსთქვათ, სახის მეტყველება, რომ ჩვენის სულის და გულის სიხარული, თუ წუხილი გამოვხატოთ, მაგრამ უნდა დავმუნჯდეთ, ცრემლები გავიშროთ, გულის ცემა შევსწყვიტოთ, სახეც გავიქვავოთ, — და მკვდარმა წინწკლებმა, სამარის ქვებივით ჩამწკრივებულებმა, უნდა აუწყოს მკითხველს: აქ განისვენებს ადამიანის გული და გონებაო?
>
> Motto.

გადჯვიხადეთ ვ. აბაშიძის 25 წლის საზოგადო მოღვაწეობის იუბილე (თუმცა სამწუხარო პრელუდია მიუძღოდა წინ).

ეს იყო ერის დღესასწაული, ძლიერი და ბევრის მთქმელი. ქართველი ერი ერთის გრძნობით, ერთის ფიქრით გამსჭვალული მიესალმა თავისს საუკეთესო მოღვაწეთაგანს, პატივი სცა თავისს უნიჭიერესს შვილს და ეს პატივისცემა იყო ერის მერმისი,—ერი მიესალმა თავისს მომავალს ცხოვრებას, ფეხის წინ გადადგმას, გამარჯვებას: ერთის დაწინაურება მეორის დაწინაურებაა, ერთის დღესასწაული მეორის დღესასწაული! ამ ჰარმონიულ დღესასწაულში გახარებული ერი ტაშს უკრავდა და უცინოდა არა მარტო ძვირფასს მასწავლებელს, არამედ თვით თავისს ცხოვრებას, არსებობას: იგი ცოცხალია, და ეს სიცოცხლის თვითგრძნობა გონებას უბრწყინვალებს მას საღის ფიქრებით და გულს უვსებს ტკბილის იმედებით.

ბევრი სიტყვა იქმნა წარმოთქმული, ბევრი მისალმება, ბევრი დეპეშა, წერილი. მათში განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია სომეხთა დრამატიულის საზოგადოების წარმომადგენლის ბ-ნ ხატისოვისა და ბ-ნ ევდოშვილის სიტყვებმა...

მე არას ვიტყვი ბ-ნ ევდოშვილის მისალმებაზედ... ბ-ნ ხატისოვის სიტყვაში-კი ის აზრი იყო გამოთქმული, თუ რა დიადი მნიშვნელობა აქვს თეატრს ერის ცხოვრებისა და ენისათვის. საზოგადოებამ საერთო მხურვალე ტაშის ცემით დააჯილდოვა ორატორი. მან სთქვა ის, რაც ბევრმა, მხოლოდ უფრო გარკვევით, დასაბუთებით და ღრმა წრფელის გულით.

ბ. ხატისოვის გარდა სხვა სომხებიც იყვნენ, რომელთაც უსურვეს ქართულს სცენას გამარჯვება.

სომხების მოლოცვა მეტად საყურადღებო მოვლენაა: თეატრი, ხელოვნება—ის ასპარეზია, სადაც დაიბადება ჩვენი და სომხების დაახლოვება, დაკავშირება, დამეგობრება. ხელოვნების ნაწარმოებს ის დაუფასებელი თვისება აქვს, რომ მის სილამაზეს და სიკეთეს, რაც უნდა ეროვნულის სისხლით და ხორცით იყოს იგი შემოსილი, შეუძლიან უნებლიედ მიიზიდოს ყოველის ადამიანის ყურადღება და აღძრას მასში აღტაცება და პატივისცემა.

და ნურასოდეს ნუ დავივიწყებთ, რომ ჩვენსა და სომხების ურთიერთობაში, გარდა მტრულისა, ერთმანეთის საწინააღმდეგოსა, არის საერთოც, რომელიც თან-და-თან გაიზრდება, იმატებს და გაძლიერდება.

მეც ვამბობ: სომხების ერთი ნაწილი ჩვენ უსამართლოდ მოგვეპყრა, ჩვენ და მათ შორის ეკონომიური ბრძოლაცაა და ეროვნულიც. ჩვენს სამართლიან უფლებათ მათ არასოდეს არ დავუთმობთ. მაგრამ იმასაც ვიტყვი ამასთანავე: საუკუნოებით სომხები და ქართველები მეზობლები ვიყავით, ერთმანეთზე გავლენა გვქონდა, ერთმანეთით ვსარგებლობდით: დღესაც ერთად ვცხოვრობთ და მომავალშიაც ვერავითარი ძალა ჩვენ ვერ გაგვაშორებს,—ეს ფაქტია, სამუდამოდ გადაწყვეტილი ისტორიის მიერ!

ერთად ცხოვრება ჰქმნის საერთო ინტერესებს. რაც უნდა მტრული იყოს დღეს ქართველ-სომხების (საზოგადოდ ყველა კავკასიელ ერთა) ერთმანერთობა, რაც უნდა გამწვავებული ბრძოლა გვქონდეს დღეს ერთმანეთთან, მომავალი მაინც ეკუთვნის არა ურთიერთთა შორის მებრძოლე ერთ, არამედ თანასწორ უფლებით შეერთებულთ, არა დანაწილებულს, არამედ გაერთებულს...

სიტყვა.

დაბა და სოფელი

ს. დილომი. აქ ითვლება ოთხას კომლზედ მეტი მცხოვრები—მთლად ქართველი გლეხ-კაცობა. სწავლა-განათლებით ამ ოთხის წლის წინად თითქმის ყველა სოფელზედ უკან ჩამორჩენილი იყო. ხალხი ხვნა-თესვას ცოტაოდნად მისდევს. მომეტებულად ეტანება ბაღ-ბოსტნების მოვლას, რადგან დიდი გასავალი აქვს ტფილისში ბაღეულობის მოსავალს.

დილმიდან სულ 9 ვერსია ტფილისამდე. ამ ოთხის წლის წინად აქ დაარსდა ერთ-კლასიანი სამრევლო სკოლა მღვდლის გამრეკელის მეცადინეობით, რომელმაც ჩააგონა ხალხს მნიშვნელობა სწავლა-განათლებისა და კერძოდ სკოლისა. საზოგადოებამ დიდის სიამოვნებით მიიღო მოძღვრის წინადადება და დაადგინა განაჩენი.

აქ ამ დროს უპატრონოდ იყო მიტოვებული სახელმწიფო ადგილი 320 ოთხ-კუთხი საჟენი, რომელზედაც აშენებული იყო ხუთი ოთახი ქვითკირისა. ეს შენობა ოდესმე თავად გრიგოლ მუხრანსკის საკუთრება იყო და შემდეგ გადავიდა სახელმწიფოს ხელში. სოფელმა სთხოვა ხაზინას, ეს ადგილი შენობით დაგვითმეთ სოფლისათვის სასკოლოდაო. შესდგა ამაზედაც განაჩენი და წარიგზავნა დანიშნულებისამებრ. ხელმწიფე იმპერატორმა 30 მარტს 1898 წ. კეთილ-ინება და დაუთმო დილმის საზოგადოებას ხსენებული მამული შენობით.

დაიწყო ამ ძველს შენობაში სწავლა, მაგრამ რადგან ძნელი იყო, არა ჰქონდა რიგიანი სახურავი და წვეთიც ჩამოდიოდა ოთახებში, ამიტომ სოფელმა მოინდომა მთლად შენობის გადაკეთება: ამის გამო მღვდელმა მოიწვია ტფილისიდამ ხუროთ-მოძღვარი, შეადგენინა ახალი გეგმა, რომ გადაკეთებულიყო შენობა ისე, როგორც სკოლის საჭიროება მოითხოვდა, მიჰმართა ამ საქმის გამო ქართლ-კახეთის სამოსწავლო რჩევას და სთხოვა საქმისთვის ორასი თუმანი. რჩევამ შეიწყნარა ეს თხოვნა და თავის მხრივ იშუამდგომლა უწმიდეს სინოდის წინაშე და გაგზავნა პეტერბურგს გეგმა დასამტკიცებლად. უწმიდესმა სინოდმა წარმოჰგზავნა ამ საჭიროებისათვის ფული, რომელსაც მღვდელმა გამრეკელმა თვრამეტი თუმანი დაუმატა ეკკლესიის ფულიდგან. შეუდგა მღვდელი შენობის საქმეს და დაამთავრა ექვსის თვის განმავლობაში; ხუთის ძველის ოთახიდგან, გააკეთა სამი მშვენიერი ოთახი, ერთი—კლასისთვის, მეორე—წიგნთ-საცავისთვის, მესამე—მასწავლებლისთვის, მეოთხე—ტანისამოსის შესანახად და ორი დერეფანიც სხვა. ოთახების მაღალი ნათელი, შენობა დახურული თუნუქით და იატაკი მთლად შეღებილი ზეთიანის საღებავით. აქვს დიდი და ფართო ეზო და თითქმის ერთი მშვენიერი სასკოლო შენობათაგანია მთლად მაზრაში. დამთავრებული შენობა აკურთხეს 27 იანვარს, რისთვისაც მოწვეული იყო მთლად საზოგადოება; კურთხევას დაესწრო ხალხი ახლო-მახლო სოფლებიდგანაც.

რომ დილმის სკოლის შენობა ერთი საუკეთესოთაგანია, მტკიცდება აი, რით: მათი მაღალ-ყოვლად-უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი ალექსი მობრძანდა ს. დილომში 12 მარტს, ოთხ საათზედ, შუადღის შემდეგ, პირდაპირ სკოლის შენობის დასათვალიერებლად; თან ახლდა სკოლების სათვალ-მთვალყურე დეკანოზი მ. ვოსტორგოვი. გაჩერდა თუ არა სკოლის შენობასთან ეტლი, გამოეგება მათ მეუფეას სკოლის ზედამხედველი მღვდელი და შეუძღვა სკოლის შენობაში. მათი მეუფება თითქმის აღტაცებაში მოვიდა, ბრძანა: მშვენიერებაა, სწორედ „აუდიტორიაა“ ეს კლასიო. თითონ გაზომა სიგძე-სიგანე, მოეწონა, რადგან იგი დიდია, ფართო, მაღალი და ნათელი. შებრძანდა სხვა ოთახებშიაც, რომლებშიაც დროებით სცხოვრობს მღვდელი და რომელიც დანიშნულია ერთი წიგნთ-საცავისთვის, მეორე მასწავლებლისათვის და მესამე—მოწაფეთა ტანისამოსის დასაკიდებლად; ამ ოთახში ჰქონდა მღვდლის საკუთარი წიგნთ-საცავი, მოიწონა და მადლობა გადაუხადა. სასიამოვნოდ დაჰკრა მთლად შენობამ და აგრეთვე დიდი ფართო ეზო სკოლისა, მისი ადგილ-მდებარეობა, რომელსაც გარს შემოუარა და ნახა მშვენიერი წყალიც, მის გარშემო ჩამომდინარე. სკოლის შენობის დათვალიერების შემდეგ მობრძანდა ეკკლესიაშიაც ლოცვის დროს, რომელიც გადაიხადა ეკკლესიის წინამძღვარმა. ეკკლესიიდგან დაბრუნდა მათი მეუფება მღვდლის სახლში იმავე სკოლის შენობაში, ინება ჩაის მირთმევა და დიდ-ხანს ისაუბრა სკოლის ავ-კარგიანობაზედ. იქვე ახლდა სკოლის მასწავლებელი ქ-ნი ჭეიძე. კარგა ხნის საუბრის შემდეგ, მათ მეუფებამ ინება და დანიშნა მასწავლებლის თანაშემწედ მღ. გამრეკელის ქალი ანნა გამრეკელი, პროგიმნაზიაში კურს-დამთავრებული, თანაშემწედ მასწავლებლისა და აღუთქვა ჯამაგირის მიცემა სამოსწავლო რჩევის ფულიდგან. მათის მეუფების წინადადებით მღვდლებმა გამრეკელმა და აპოლონ ივანიცკიმ იტვირთეს აბრეშუმის ჭიის მოშენება-მოვლა.

დილმელი.

რუსეთი

მასკოვის ქალთა მდგომარეობის გამაუმჯობესებელ საზოგადოებას განუზრახავს სახელოსნოებში მოსამსახურე ქალთათვის იაფფასიანი ბინები გააკეთოს 3—6 მან. თვეში თითოსთვის, თითო ოთახში მოთავსდება 2—5 ადამიანი, ბინაში იქნება 9 ოთახი. სახლში იაფ-ფასიანი სასადილოც იქნება გამართული.

— ეკატერინოსლავის გუბერნიაში ამას წინად დაარსდა პირველი საკოოპერაციო საზოგადოება, რომელსაც ეწოდება სახელად ,,სამხრეთის სამიწათ-მოქმედო სამეწველო არტელი“. არტელის აზრია წევრთა ურთი-ერთი დახმარება და გარდა ამისა, სასოფლო მეურნეობის და მრეწველობის განვითარება ახლო-მახლო ადგილებში. ამისათვის არტელი შეიძენს საერთოდ მიწას პურის და სხვა მცენარის დასათესავად და ეცდება გადააქციოს იგი სამაგალითო სასოფლო-სამეურნეო ფერმად. არტელი გამართავს საცდელს მინდვრებს, გააშენებს ახალს და სასარგებლო მცენარეებს და ყოველ ღონეს იხმარს, რომ გააუმჯობესოს ადგილობრივის მცხოვრებლების ქონებრივი მდგომარეობა.

— ოდესის საარტელო მზრუნველთა საბჭომ ამას წინად განიხილა ის საგანი, თუ როგორ მოეწყოს იაფი საექიმო დახმარება ადგილობრივ სახელოსნო არტელების წევრთათვის. საქმის განხილვას დაესწრო რამდენიმე ექიმი. ერთმა მათგანმა ურჩია კრებას, ამბულატორია დაეაწყოთ არტელის ერთ ერთს სადგომშიო, მაგრამ ეს წინადადება უხერხული გამოდგა, რადგან არტელები გაფანტულია სხვა-და-სხვა ალაგას, და თანაც ამბულატო-

ფელეტონი

საზოგადოებრივ მეცნიერებათა წარმატება მე-XIX საუკუნეში

(წინასიტყვაობის მაგიერ)

თქვენთვის არ ვიცი, მკითხველო, და ჩემთვის-კი ამ ბოლოს დროს ძალიან ხშირად მოუმართავთ და უკითხნიათ: „როგორ გესმით ისტორიაო?“

რა საგანზედაც უნდა ჩამოაგდოთ ლაპარაკი, დამშეულთა გაჭირვება იქნება იგი საგანი, ჩვენი უმეცრება, გაჭირვებულთა დასახმარებლად საუკეთესო ღონისძიების მიღება, თუ ხალხში განათლების გავრცელება, უეჭველად ლაპარაკს თავშივე გაგაწყვეტინებენ და ერთსა და იმავეს დაგეკითხებიან: „როგორ გესმით ისტორიაო?“ ვივიწყებთ ასეთ შემთხვევაში სწავლა-განათლებას, თავიდგან ვიშორებთ დამშეულთა ტანჯულ სახეებსაც. ჩვენის ლაპარაკის მთავარ საგნად დიალექტიკა და მატერიალიზმი ხდება, ეკონომიკა და ისტორია, დიალექტიური მატერიალიზმი, მატერიალისტური ისტორია და სხვა-და-სხვა. ამასთან პანტასავით გადმოდის სახელები და სხოლიოები, ნაწყვეტ-ნაწყვეტი ფაქტები და ფილოსოფიური სისტემები... დაუძლურებულ მწარმოებელთა დამშეული სახეები-კი უფრო გვშორდებიან, უფრო და უფრო გვეფარებიან თვალთაგან.

ნაღველი და სევდა მაწვებოდა ყოველთვის ასეთ საუბრის დროს. ბოლოს გადავწყვიტე აღარ მივცემოდი ამ ჯანყითა და ბურუსით მოცულ საგნების კვლევა-ძიებას და თვალყური მიმეპყრო მხოლოდ ცხოვრების საამდროო საჭირ-ბოროტო საგნებისათვის. აი, სწორედ ამიტომ, როდესაც უკანასკნელად შემომეკითხნენ,—თქვენ როგორ-და გესმით ისტორიაო? არც ავილე, არც დავილე, ავდექ და პირდაპირ ვუპასუხე:

— არა ნაირად არ მესმის ისტორია-მეთქი!..

— რასა ბრძანებთ? როგორ თუ არა ნაირად? გაიოცა თანამოსაუბრემ.

— ასე: არ შემისწავლია ისტორია და ამიტომ ვერანაირად ვერ განვმარტავ. მაგრამ მე კარგად ვიცი ჩემი საქმე, ვიცი აგრეთვე ჩემის მეზობლის საქმე და აი, ახლა მე და ჩემი მეზობელი გულმოდგინედ ვფიქრობთ, რთგორ მოვაწყოთ ჩვენი ცხოვრება ისე, რომ ჩვენის შრომის ნაყოფი ერთიანად ჩვენა და ჩვენს შვილებსა გვრჩებოდეს, რომ ჩვენის შრომით ვერ ისარგებლონ ვერც ჩარჩებმა და ვაჭრებმა, ვერც მევახშეებმა და სხვა ამ გვარმა ვაჟბატონებმა. ამაზედ ვფიქრობთ დღე და ღამ და თქვენგანაც მოველით რჩევას. თქვენ-კი დამდგომიხართ და მეკითხებით—„როგორ გესმით ისტორიაო!“

— აი, სწორედ თქვენის საქმის გადასაწყვეტადაა საჭირო ისტორიის გაგება.

— კარგი და პატიოსანი, მაგრამ რას იტყვით, თუ უმრავლესობამ, უკეთ რომ ვსთქვათ, ყველა მწარმოებელმა წერა-კითხვა არ იცის, ან, თუ იცის, საყველ-პუროდ (ნამდვილად ხომ ასეც არის!)? მაშ, თქვენის აზრით, ამ მწარმოებელთ არ შეუძლიანთ თავიანთ საქმეებზედ სჯა-ბაასი იქონიონ, ეს საქმეები გადასწყვიტონ? იმათ მაგიერ თქვენ, დიალექტიკაზედ მოსაუბრეთ, უნდა გადასწყვიტოთ ეს საქმეები? ცოტა არ იყოს უცნაურია ესა.

რაღა ლაპარაკი უნდა, რომ არც ფრანგ, არც შვეიცარელ მდაბიო (იტალიელნი ხომ მოსახსენებელნიც არ არიან) არ შეუსწავლიათ ისტორია და, მაშასადამე, მისი განმარტებაც არ შეუძლიანთ. თუ მათ ნება აქვთ იზრუნონ და იფიქრონ თავიანთ საჭიროებაზედ და ასე თუ ისე გადასწყვიტონ ,,დაწყევლილი კითხვები“, მე და ჩემმა მეზობელმა რაღა დავაშავეთ: ჩვენთვის რაღათაა სავალდებულო უპირველეს ყოვლისა ისტორიისა და იმის თქვენგან განსაკუთრებულ განმარტების შესწავლა?

სიმართლე და სამართლიანობა მიუწდომელია წერა-კითხვის არ მცოდნეთათვის, ან ჩინელთა, ზანგთა და ველურთათვის?

— სავსებით გეთანხმებით,—მომიგო მოსაუბრემ. ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ყოველივე ეგ მისაწვდომია, როგორც წერა-კითხვის არ მცოდნეთა, ისე ჩინელთა და ველურთათვის.

— მაშ, ამიხსენით ერთი, თუ ღმერთი გწამთ, იმის მაგიერ, რომ ყოველ-დღიური საჭირ-ბოროტო საქმეები, ჩვენი საჭიროებანი და შეძლებანი შევისწავლოთ, შევისწავლოთ სიბოროტესთან ბრძოლის საშუალებანი, ამის მაგიერ რა მიზეზია, რომ ეს რამდენიმე ათი წელიწადია მხოლოდ და მარტო ისტორიის განმარტება, დიალექტიკა, ჰეგელი და იმისი ფილოსოფია გაკერიათ პირზედ? განა ფილისტერობა არ არის ესა?

— ფილისტერობა?!—ზიზღით მომიგო ნაცნობმა.—საზოგადო მოღვაწენი და მწერალნი ჰეგელისა და დიალექტიკის წყალობით, ისტორიის განმარტების მეოხებით იძენენ სწორე აზრ-შეხედულობას მსოფლიოზედ.

— მაგრე-კი? რუსეთში, მაგალითად, ჰეგელის მიმდევარნი იყვნენ კონსტანტინე აქსაკოვი, ხომიაკოვი და სლავიანოფილნი; ჰეგელის მიმდევარნივე იყვნენ კატკოვი, ლეონტიევი, იურკევიჩი; მეორეს მხრივ, ამავე დროს იყვნენ ბელინსკი, რედკინი და სხვანი. ვისი აზრ-შეხედულება უფრო სწორე და ნამდვილი აღმოჩნდა: სლავიანოფილებისა, კატკოვისა და იურკევიჩისა, თუ ბელინსკისა?

— თქვენ ისეთს კაცებს იღებთ, რომელნიც სხვა-და-სხვა ლიტერატურულ მიმართულებას ადგნენ?

— სწორედ. რა მიზეზია, რომ ჰეგელმა, რომლის წყალობითაც კაცი ჭეშმარიტ აზრ-შეხედულებას იძენს, არ შეაერთა სლავიანოფილნი და ბელინსკი? რა მიზეზია, რომ ბელინსკი დიდებულ ბელინსკად გადაიქცა მას შემდეგ, რაც ჰეგელს გამოეთხოვა, ე. ი. თავი მიანება იმის ფილოსოფიას?

ნება მიბოძეთ, თქვენი ყურადღება მივაქციო ჩვენის საუბრის მსვლელობას. დავიწყეთ ცხოვრების საჭირბოროტო საგნებიდგან, მაგრამ გადავუხვიეთ გზას და უსარგებლო ლიტერატურულ ყბედობას შევუდექით. ნუ გაიკვირვებთ ჩემს სიტყვას: ნამდვილ ცხოვრების ცოცხალ საქმეთათვის ჩვენი ლაპარაკი ყბედობაა მხოლოდ. თქვენა და თქვენი მოსაუბრენი, მათ შორის, რასაკვირველია, მეც, უქმი ყბედნი ვიქნებით იმ დრომდე, ვიდრე მეტაფიზიკა და ჰეგელი პირზედ გვეკერება და ვიდრე და ისტორიის შექმნის ნაცვლად იმის განმარტებას დავჯერდებით... აბა დაუკვირდით ერთი: სიცოცხლით სავსე, ჭკვიანი და პატიოსანი კაცი რამდენსამე ათ წელიწადს ანდომებენ დიალექტიკასა, მეტაფიზიკასა და ისტორიის ეკონომიურად განმარტებაზედ კამათს!.. უფრო სამწუხარო-კი ეს არის: ჭკვიანი, კეთილის მოსურნე და განათლებული ხალხი ვერა ჰხედავს, რომ იგი ჩამოაშორეს მე-XIX საუკუნის მეცნიერებას*), ნამდვილ ცოცხალ საქმეს. დაავიწყდათ, რომ ყოველივე ვითარდება მოქმედებით, რომ საზოგადო მოღვაწეთ საქმე აჩენთ, რომ ხასიათის შემუშავება წრის პირობებზეა დამოკიდებული. ყველანი იმ აზრმა გაიტაცა, რომ ისტორიის ეკონომიურად განმარტების წყალობით ყველანი შევქმნით, ამასთან შევქმნით ერთნაირად, ისტორიასაო.

— რამდენადაც-კი შესაძლებელია ერთნაირად, მაგრამ ისე-კი არა, რომ ერთი და იგივე იყოს.

— აბა, რას ამბობთ? განა გიზო და მიშლე, ბლანკი და ტოკვილი, როდბერსი და მარკსი ერთის რწმენის ხალხი იყო? თუმცა რწმენით სხვა-და-სხვანი იყვნენ, მაგრამ ყველანი ეკონომიურის მიზეზებითა ხსნიდნენ ისტორიას. ეს მეცნიერნი ისევე განსხვავდებიან რწმენითა და მოღვაწეობით, როგორც ჰეგელის ზემოდ ჩამოთვლილნი მიმდევარნი, თუმცა გიზო მარკსივით ეკონომიურად ჰხსნიდა ისტორიას. რა მიზეზია, რომ ერთისა და იმავე დოქტრინის მიუხედავად გიზო მინისტრი გახდა, ამასთან დიდად რეაქციონური მინისტრი, მარკს-კი ისე ეჭირა თავი, რომ იმავე გიზომ საფრანგეთიდგან განდევნა?

— მე არაოდესაც არ ვამტკიცებდი, რომ ამა თუ იმ საფილოსოფოსო თეორიას, ამა თუ იმ სამეცნიერო ჰიპოტეზას შეუძლიან გააერთიანოს ყველა იმის მიმდევარნი.

— თუ მაგრეა, მაშ საზოგადოებრივ მეცნიერებასა და საჭირ-ბოროტო კითხვებში რაღად შევაქვთ ჰიპოტეზები და ფორმულები, რომელნიც სულაც არ აერთიანებენ ხალხს ბოროტებისა, სიღარიბისა და უმეცრების მოსასპობლად? ჰეგელსა და მეტაფიზიკას, მე-40 წლებშიაც და ეხლაც, ისეთ უღრან ტყეში შეჰყავთ ხალხი...

წადი ახლა და გაიგე, ვინ არის თქვენში მართალი და ვინ არა! თქვენსავით ისინიც ფილოსოფიაში ჰეგელითა და კანტით გვეფიცებიან; თქვენსავით ისინიც ისტორიის ეკონომიურად განმარტების საქმეში მარკსსა, გიზოსა*), ენგელსსა და ტოკვილს იმოწმებენ; იმათაცა და თქვენც მთელი წიგნთ-საცავები დასწერეთ; თქვენ ნაწერებში ბევრს ლაპარაკობთ მეტაფიზიკაზედ, მაგრამ ერთი სიტყვითაც არ იხსენიებთ მე-XIX საუკუნის ნამდვილ (точныя) მეცნიერებათ; ისტორიის ახსნის დროს იხსენიებთ სახელოვან კაცებს, მინისტრებს და ამავე დროს ივიწყებთ ისტორიის შემქმნელთ.

— გასაოცარი კაცი ხართ სწორედ!—წამოიძახა ჩემმა მოსაუბრემ.—უეცით ხომ არ მივცემთ საზოგადო საქმეებისა და კითხვების გადაწყვეტის ნებას?

— მაშ,—მიუგე მე—რაღასა მკითხავთ, „როგორ გესმის ისტორიაო“? თქვენც ჩემსავით საფუძვლად გაქვთ აღებული ერთი და იგივე მოთხოვნილება, ზნეობა. მაგრამ დიდად საოცნებო გაუგებრობის წყალობით, მეცნიერების ნაცვლად მოგაჩნეს მეტაფიზიკა.

ვ. მარველი.

(შემდეგი იქნება)

---

*) იხილე „მე-XIX საუკუნე“, „ივერია“ 1901 წლისა №№ 55 59.

*) გიზო ლუდოვიკო-ფილიპეს მინისტრი იყო, ტოკვილი ნაპოლეონ III-ს მინისტრი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიის მოწყობა ძვირად დაჯდებოდა. უფრო მოსახერხებლად იცნო კრებამ, ექიმებმა სახლში უექიმონ ავადმყოფებს; დამსწრე ექიმები თანახმა გახდნენ. დაადგინეს: თუ ექიმი საკუთარს ბინაზე მიიღებს ავადმყოფს, აიღოს 15 კაპ., ხოლო თუ თვითონ წავა ავადმყოფთან 30 კაპ. თითო ვიზიტში.

უცხოეთი

სამხრეთ-აფრიკის ომი. გაზეთებმა ჯერ ვერაფერი შეიტყეს სამშვიდობო მოლაპარაკების შესახებ, რომლისათვისაც ბურთა წინამძღოლნი პრეტორიაში წავიდნენ. ინგლის ჰოლანდიისნოტა, 23 იანვარს გამოქვეყნებული, პრეტორიაში 16 თებერვალს იქმნა მიღებული. ლორდმა კიტჩენერმა პირი ამ ნოტისა მაშინვე აცნობა ბურთა წინამძღოლებს. 25 თებერვალს შალკ-ბურგერმა მიჰმართა კიტჩენერს და სთხოვა ნება მიეცა თავისუფლად გადასვლისა ტრანსვაალიდგან ორანჟეში შტეინისა და დევეტის სანახავად. კიტჩენერმა ნება დართო. ზოგიერთი გაზეთი ამბობს, რომ შალკ-ბურგერსა და სხვა წინამძღოლებს სრულიადაც არა აქვთ აზრად ზავის შესახებ მოლაპარაკების ჩამოგდებაო. ისინი ისარგებლებენ ნება-რთვით და ერთმანეთში მოილაპარაკებენ ომის განგრძობისა და თავიანთ საქმეების შესახებ. თუ ეს ამბავი გამართლდა, ბურები ერთხელ კიდევ მოატყუებენ ინგლისელებს.

ინგლისური გაზეთები ერთხმად სწერენ, რომ მალე ომს ბოლო მოეღება და ზავი იქმნება დადებულიო. უმთავრესი გადასაწყვეტი საქმე, ამ გაზეთების სიტყვით, ის არის, კაპის ახალშენის აფრიკანდერებს ეპატიოთ თუ არა ღალატი და ბურებთან ერთად ინგლისელების წინააღმდეგ ბრძოლა. ბურები ზავის დადების დროს უეჭველად მოითხოვენ აფრიკანდერების პატიებას, რადგან მათ დიდი დახმარება გაუწიეს ბურებს: დღეს იმათ ჯარის უმრავლესობას თითქმის კაპის ახალშენის აფრიკანდერები შეადგენენ. მთელი ინგლისი სიხარულით მიეგება იმ ამბავს, რომ ბურების წინამძღოლნი პრეტორიაში წავიდნენ მოლაპარაკების დასაწყებადაო. აშკარაა, ომი დიდად მოჰბეზრდა ინგლისს.

ინგლისი. 11 მარტს ბალფურმა საზოგადოებათა პალატაში შეიტანა სასკოლო ბილლი. უკანასკნელის ორის წლის განმავლობაში მთავრობამ ორჯელ შეიტანა ეს ბილლი და ორჯელვე წაიღო უკან. ახალის ბილის ძალით ყველა საგრაფოში დაწესებულ უნდა იქმნას მთავარი ორგანო, რომელიც განაგებს ყველა სკოლებს, როგორც ელემენტარულს, ისე საშუალო და სატეხნიკოს. ასეთ მთავარ ორგანოებად ქალაქებში საბჭოები იქმნება, სასოფლო ოლქებში—საგრაფო საბჭოები. ამ მთავარ ორგანოებს უფლება ექმნებათ გააწერონ გადასახადი სკოლების საჭიროებათათვის. ბილის შინაარსი ბალფურმა ზეპირად გადასცა პალატას. კამათი არა ყოფილა. ოპოზიციის ლიდერმა კემბელ-ბანერმანმა განაცხადა, რომ არაფერს ვიტყვი ჯერ-ჯერობით, ვიდრე ბილი მთლად არ დაიბეჭდებაო.

— ამას წინად ირლანდიელ დეპუტატს რედმონდს ერთს დიდს მიტინგზედ სიტყვა წარმოუთქვამს. რედმონდს გამოუცხადებია, თუ ირლანდიელნი ჰომრულს ვერ ეღირსნენ, პარლამენტს დაამხობენო; თუ ჩვენ თვითმმართველობა არ მოგვენიჭა, იმას მაინც ვიზამთ, რომ სხვებმაც ვერ განაგონ საკუთარი საქმეებიო.

იტალია. დეპუტატთა პალატა სამის კვირით დაიშალა. უკანასკნელ სხდომაზედ პალატამ შეიწყნარა კანონი ქალთა და ბავშვთა შრომის დაცვის შესახებ. ამ კანონით, ბავშვებს 12 წლამდე სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა აღკრძალული ექმნებათ. სრულად აღკრძალული ექმნებათ ბავშვებს მღვიმე-მაღაროებში მუშაობა. იმ სამრეწველოებში, რომლებიც საშიშოა ჯანმრთელობისათვის, არა სრულ-წლოვან ქალებს და აგრეთვე ვაჟებს 15 წლამდე მუშაობა აეკრძალებათო. 15 წლამდე ვაჟებმა და სრულ-წლოვანობამდე ქალებმა უნდა წარადგინონ მკურნალის მოწმობა იმის შესახებ, რომ მათ შეუძლიანთ სამრეწველო დაწესებულებებში მუშაობა. უამმოწმობებოთ არსად არ მიიღებენ მათ. ღამე მუშაობა აღკრძალული აქვთ ამ კანონის ძალით 15 წლისაზედ უმცროსთ, ხოლო ხუთის წლის შემდეგ ამ კანონის გამოქვეყნებიდგან ღამე მუშაობა ყველა ქალებს აღეკრძალებათ. სამუშაო დღე დადგენილ იქმნა: ქალთათვის —12 საათი, 12—15 წლის მოზრდილთათვის—11 საათი, ხოლო 10—12 წლის ბავშვთათვის—8 საათი. იმათ, ვინც 15 წლისაზედ უმცროსია, კვირაში ერთი დღე შესასვენებლად უნდა მიეცეთ.

ჩინეთი. ,,Times'' ატყობინებენ გონკონგიდგან 9 (22) მარტს: ,,ხმა დადის, რომ აჯანყებულთ აიღეს კვანტუნში ქალაქი კანჰაუ. მეციხოვნე ჯარი და მანდარინები გაიქცნენ. აჯანყებულთ ხელთ ჩაიგდეს თოფხანა და საწყობები; გაანთავისუფლეს პატიმარნი, რომელნიც მათვე შეუერთდნენ. ადგილობრივ მანდარინთ მიჰმართეს მომშველ ჯარის შესახებ თხოვნით ვიცე-კოროლს, მაგრამ პასუხად მიიღეს, რომ კანტონის მეციხოვნე ჯარი ისედაც მეტად შემცირებულია და უფრო შემცირება აღარ შეიძლიაო.

წვრილი ამბები

გუშინ მკითხველებს გავაცანით პარიჟის „კაფე-რესტორანები“, ეხლა ორიოდე სიტყვას ეგრედ წოდებულ „ლათინთა უბნის“ შესახებ ვიტყვით. ეს უბანი საბრძანებელია სტუდენტებისა და „კოკოტკებისა“. იქა სცხოვრობენ თითქმის ყველა უმაღლეს სასწავლებლის სტუდენტები, კაცნი და ქალნი. დღისით ლათინთა უბანი ბევრით არაფრით განსხვავდება პარიჟის სხვა უბნებისაგან. სიცოცხლე ამ უბანში მზის ჩასვლისას იწყება, ქუჩები ახალგაზრდობით ივსება, გაისმის მხიარული ლაპარაკი, სიმღერა, ოხუნჯობა; უბნის ყავახანები გაჭედილია ხალხით, თავისუფალ სტოლს ვერსად იპოვნით. ყოველის მხრიდგან მხიარულება, სიცილი, ხარხარი მოისმის.

ღამე სტოლებს ცალ მხარეს სდგამენ და შუაზედ იწყება ცეკვა-თამაში, ზოგჯერ წრეს გადასულიც (ჩვენებურად, რასაკვირველია). ყავახანაში საკმაო ადგილი არ არის, ამიტომ მოცეკვავენი ქუჩებში გადიან და იქ წესიერების დამცველ დარაჯთა ცხვირ-წინ მხიარულად დახტიან. ამ უბანს თავისი საკუთარი გაზეთი აქვს—„L'etudiant“-ი, რომლის ფურცლებზედაც იბეჭდება წერილები მხოლოდ სტუდენტებისა და „კოკოტკების“ საქმეების შესახებ. გაზეთში დაწვრილებით იბეჭდება ყოველივე ის, რაც მხიარულ ყავახანებში ხდება.

საყურადღებოა ერთი ყავახანა, რომელსაც სახელად „Noctambules“ ჰქვიან. დიდი დარბაზი სტოლითა და სკამებითაა სავსე. კედლებზედ ისეთი სურათებია გაკრული, რომლის დანახვაზედაც ჩვენებური არამც თუ ქალი, პარიჟს შეუჩვეველი, კაცი-კი კივილით გარეთ გავარდება. დარბაზს პატარა სცენა აქვს, რომელზედაც ლექსების სათქმელად და სიმღერის შესასრულებლად გამოდიან ადგილობრივი, ამავე უბნის პოეტნი და მუსიკანი, მუშათა ხალათებსა და დიდს არტისტულ გალსტუხებში გამოწყობილნი. ხშირად ასეთი არტისტი სიმღერას იწყებს და მთელი დარბაზი ბანს ეუბნება. ასევეა სხვა ყავახანებშიაც. არტისტები თავიანთ ლექსებისა, ანეკდოტებისა და ამბებისათვის ტემის ამორჩევას არ ერიდებიან. პოლიტიკას ეს არტისტები ნაკლებად ეხებიან, უფრო ხშირად თავიანთ ლექსებში „ლათინთა უბანში“ მომხდარ ამბებს დასცინიან.

არა ნაკლებ საყურადღებოა მეორე ყავახანა, სადაც ლექსებს ამბობს და მღერის, საზოგადოდ არტისტობს თვით ხალხი, ყავახანაში მყოფი საზოგადოება. დიდი თავისუფლებაა ამ ყავახანაში: არავინ გაგკიცხავთ და გაიოცებს, თქვენს მანდილოსანს რომ ხელი მოჰხვიოთ, მუხლებზედ დაისვათ, ან აკოცოთ. დრო-გამოშვებით რომელსამე კუთხეში წამოიძახებენ ვისმე გვარს; თუ სხვებმაც ხმა მისცეს და ტაში დაუკრეს, გვარის პატრონი სკამზედ ან სტოლზედ ადის, იქიდგან მღერის, ლექსს ან ანეკდოტს ამბობს. აქ, ამ ყავახანაში, ხშირად მოუპოვებიათ სახელი შემდეგ დიდად ცნობილ საპოლიტიკო მოღვაწეებს, პოეტებს და მწერლებს.

,,მახსოვს,—სწერს ერთის ჟურნალის კორესპონდენტი, საიდგანაც ჩვენ ამ ცნობებს ვიღებთ,—რამდენისამე წლის წინად ამ ყავახანაში ვიყავი. დამსწრეთ ყვირილი შეჰქმნეს—ვერლენ, ვერლენო, და არ გასულა დიდი დრო, რომ სტოლზედ აცოცდა ხნიერი კაცი, უხეიროდ ტანისამოსში გამოწყობილი და შეუდგა საკუთარის ლექსების კითხვას. ეს კაცი დღეს მთელს ევროპაში ცნობილი პოეტია, პოლ ვერლენი. საზოგადოდ ცნობილი არტისტები და ლიტერატორები ხშირად მიდიან ამ ყავახნებში სამღერლად და ლექსების სათქმელად“.

ბევრ ყავახანაში სტუდენტთა ბალები იმართება. უფრო ცნობილია ბალებით «Bullier»-ი, რომელიც ყოველთვის გაჭედილია ახალგაზრდობით (ბალები ამ ყავახანაში იმართება ოთხშაბათობით და შაბათობით). ,,ერთხელ,—სწერს ზემოხსენებული კორესპონდენტი,—ამ ყავხნის კარსთან მივედი. აუარებელი სტუდენტობა იდგა. მოულოდნელად ჩემთან პოლიციელი მოვიდა და მითხრა, რომ შესვლა არ შეგიძლიანთ, რადგანაც დღეს ამ ბალზედ შესვლის ნება მხოლოდ უმაღლეს სასწავლებლების სტუდენტებსა აქვთო. ამ ლაპარაკში ვიყავით, როდესაც ბალის გამგე მოვიდა, რომელმაც გაიგო რა, რომ რუსი ჟურნალისტი ვიყავი, მაშინვე შემიწვია დარბაზში (საზღვარ-გარეთ ჟურნალისტის სახელი საუკეთესო გასაღებია, რომლითაც ყველა კარების გაღება შეგიძლიანთ. ჟურნალისტებს ყველგან საუკეთესო ადგილებს უთმობენ). როდესაც დარბაზში შევედი, უთვალავ ხალხისაგან თვალები ამიჭრელდა. ყოველგვარ ტანისამოსს შეხვდებით ამ ბალზედ. ისეთი ხმაურობა, სიცილი, ხარხარი იდგა, რომ ორკესტრის ხმა ძლივს ისმოდა. ყველას და ყველაფერს სიცოცხლის ბეჭედი ესვა; ეტყობოდა, რომ ხალხი სამხიარულოდ მოსულიყო. არა ჰგავნდა ეს ბალი ჩვენებურ, პეტერბურგულ სადამოებსა და ბალებს, სადაც ხალხი ,,მუმიებივით'' გაშეშებული დგას, ან სხედან და ეშინიანთ ,,მშვიდობიანობისა და წესიერების დარღვევა''. შუაღამე გადასული იყო, როდესაც ხალხი, ქალი და კაცი, სავახშმოდ გაეშურა. ქუჩა კარნავალს მოგაგონებდათ ამ დროს: ხმაურობა, სიცილი, ტაშის ცემა მოისმოდა ყოველის მხრიდგან. მხოლოდ დილით, როდესაც მწმენდავნი ქუჩების გვას შეუდგნენ, რესტორანები დაცარიელდა და ნამხიარულევი ხალხი სახლებისაკენ გაუდგა გზას.

სასოფლო მეურნეობა.

მეფუტკრეობის სარგებლობა.

(დასასრული *)

უწინ თაფლს ისევე ხმარობდნენ, როგორც ეხლა შაქარს. მაგრამ თაფლი რომ გაცილებით სჯობია შაქარს, როგორც საჭმელი და როგორც წამალი, —ეს ეჭვს გარეშეა. თაფლი არის ნაყოფი ნაზის მცენარე წვენისა და შეიცავს იმგვარ ნაწილებს, რომელნიც ჩვენის სხეულის არსების საჭიროებას შეადგენენ. თაფლი შესდგება წმინდა შაქრისაგან—ყურძნისა, ღერწმისა და მწვანეულობისა, რომლებშიაც გახსნილია სხვა ნივთიერებაც, როგორც მაგ., ეფირის ზეთი და ჯინჭველის სიმჟავე. ამ ნივთიერებას ფუტკრები განგებ ურევენ თაფლში, რომ არ წახდეს. ჩვეულებრივი შაქარი-კი შესდგება ერთგვარ შაქრისაგან ღერწმისა და თითქმის ყოველთვის შეიცავს ნაშთს იმ ქიმიურ ნივთიერებათა, რომელთაც მექარხნეები ხმარობენ შაქრის დასაწმენდად და გარეგან მიმზიდველობის მისაცემად. ამიტომაც ხელოვნური შაქარი ძრიელ ცუდად მოქმედობს კბილებზედ და კუჭზედაც.

მართალია, ძნელი მოსალოდნელია, რომ იაფფასიან შაქარს მიჩვეულმა კაცმა თავი დაანებოს და მის ნაცვლად თაფლი იხმაროს,—მით უმეტეს, რომ ბევრნი ვერ იტანენ თაფლის ძლიერ სიტკბოსა და თავისებურ გემოს, მაგრამ მის საკურნებელ თვისებების გამო სასურველია და სამეცადინო, რომ თაფლის გავრცელების საქმეს ყველა ხელს უწყობდეს და საზოგადოებას აჩვევდეს მის ხმარებას უფრო ხშირად, ვიდრე ეხლა ხმარობს. თაფლი მეტად შემრგოა და ადვილი მოსანელებელი, თვალსაჩინოდ აცხოველებს სხეულს, აძლევს სისხლს ენერგიას, ამაგრებს ძარღვებს, ასუბუქებს და მოძრავ ჰყოფს მთელს ტანს, ახალისებს ნერვებს, აფართოებს აზროვნობას, უმშვიდებს ძილს.

თაფლი კიდევ ცნობილია, როგორც გადამდებ ავადმყოფობის ამაცდენელი საჭმელი. ამას გვიმტკიცებს შემდეგი მოსაზრება. გამოკვლეულია, რომ მომეტებული ნაწილი გადამდებ ავადმყოფობათა, როგორნიც არიან: სათოვლე, ხოლერა, ყელ-ჭირვება, ყვავილი, სისხა და სხ., ვრცელდება ბაქტერიებით. გამოკვლეულია ისიც, რომ ჩვენი სისხლის თეთრი გორველები ითვისებენ სისხლიდანვე თვისის განახლებისათვის არა მარტო საჭირო სითხეს, არამედ მჭიდრო სხეულებსაც, რომლებშიაც პოულობენ თვისს საზრდოს.

ეს თეთრი გორველები ჩვენის სისხლისა, ახლანდელის გამოკვლევით, იზიდავენ და ითვისებენ აგრეთვე სისხლში მყოფ ბაქტერიებს, თუ ესენი უფრო სუსტის ენერგიისანი არიან, ვიდრე სისხლის თეთრი გორველები. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს თეთრი გორველები ან ვერ შთანთქავენ ბაქტერიებს და ამის გამო ბაქტერიები დაუბრკოლებლივ მრავლდებიან, ან, თუ რამდენიმე ნაწილი შთანთქეს, ვერ ერევიან, რომ საზრდოდ გამოიყენონ და თვითონ სისხლის თეთრი გორველები ხდებიან ბაქტერიების მსხვერპლად და მით ავადმყოფობა ფესვს იდგამს უფრო ღრმად. ამით აიხსნება ის მოვლენა, რომ ერთსა და იმავე გარემოებაში მყოფნი კაცნი ზოგი ავად ხდება ამა თუ იმ გადამდებ ავადმყოფობით და ზოგი-კი არა; და თუ მაინცა და მაინც ყველანი გახდნენ ავად, ზოგი გამარჯვებული რჩება ავადმყოფობასთან ბრძოლაში, ზოგი-კი მის მსხვერპლად ხდება.

---

*) იხ. «ივერია» № 61.

პ ო რ ტ ფ ე ლ ი.

მოთხრობა მირბოსი, თარგ. ფრანგულიდან.

ჟან გრენილმა დააპირა სახლში წასვლა. სახლში? ასე ეძახდა ჟანი იმ გრძელ სკამს, რომელიც იდგა ანვერის ბაღში და რომელზედაც, აგერა ერთი თვეა, ათენებდა ღამეს. ზემოდან კარავივით გადაჰფარებოდა ამ სკამს დიდი წაბლის ხე. კარგა დაგვიანებული იყო. ჟანი ბულვარშია. აქ ყოველთვის დიდი კონკურენციაა და ამ კონკურენციის, თუ თავის მოუხერხებლობის გამო, ჟანი გლახა მდგომარეობაში იმყოფებოდა. მარტო ორი სუ ჰქონდა და ისიც ყალბი. „მილიონების პატრონმა ასეთი გროშები უნდა მისცეს, განა, ჩემისთანა გლახას? საცოდაობა არ არის?“ ჟანმა თვალი მოჰკრა ვიღაც ვაჟ-ბატონს... მშვენიერი იყო, კარგად ჩაცმული... თეთრი ყელსახვევი ჰქონდა გაკეთებული. მისი გახამებული პერანგის გული თეთრი თოვლივით ბრწყინავდა... ჯოხის ტარი ვერცხლით იყო მოჭედილი. ჟანმა მხრები შეიშმუშნა... სიძულვილის ნიშანი არ იყო ეს მოძრაობა. ძლიერ აწუხებდა ის გარემოება, რომ ღამის გასათევი ადგილი ბაღში სხვამ არ დაიჭიროსო. ბაღი შორს იყო. ჟანი ჩქარობდა, მალე მისულიყო იქ და მოესვენა. მისი შემწუხებელი იქ არავინ იყო. პოლიციელებს კარგად იცნობდა. იმათაც ეცოდებოდათ საწყალი გლახაკი და არ უშლიდნენ ბაღში ღამის გათევასა. ,,უბედურებაა! მეტი ცუდი დღეა... სამი კვირაა, ასეთი დღე არა ყოფილა... მართალს ამბობენ, რომ ვაჭრობა შესდგა და დიდი ქესატობააო. იქმნება მართლა ინგლისელების ბრალია... როგორც ამბობენ... წყეული ინგლისელები... ღმერთმა ჰკითხოს იმათა.

ჟანი მიდიოდა იმედით, რომ იქნება ერთი გულ-კეთილი ადამიანი შემხვდეს, ან დარდიმანდი ვინმე და ორი სუ მომცეს, ხვალ პურის საყიდლად მეყოსო.

ორი სუ... ორი ნამდვილი სუ... ეს ხომ დიდი არაფერია,—ფიქრობდა ჟანი და მიდიოდა „თავისს სახლში“. ჟანი დაღლილი იყო და თან ჯანიცა სტკიოდა.

ჟანს იმედი დაეკარგა ვისმე შეხვედრისა. უცბად ფეხ ქვეშ რაცლა რბილი რამ იგრძნო. ჯერ იფიქრა, დამპალი რამ თუ ეგდოო... ეგებ ჩასაცმელია რამეო... ვინ იცის?

ბედს არ უყვარს უბედურები; იშვიათად ახარებს ამისთანებს.

ჟანმა მოიგონა, რომ ერთხელ ქუჩაში იპოვა ცხვრის ფეხი, რომელიც ალბად ვინმე ყასაბმა დაჰკარგა. ახლაც ჟანი დარწმუნებული იყო, რომ ეს უთუოდ ცხვრის ფეხი ეგდო იქა. იქნება კატლეტი იყო, ან ღვიძლის ნაჭერი, ან ხბოს გული? მაინც ღირს, რომ ვნახოო...—სთქვა ჟანმა და აიღო ის რაღაც რბილი, ფეხ-ქვეშ რომ ეგდო.

— საჭმელი არა არის-რა,—წაიბუტბუტა მან. ქუჩა ცარიელი იყო... არა სჩანდა არავინ, არც დარაჯი, არც პოლიციელი.

ჟანი მიუახლოვდა ელექტრონის ლამპარს, რომ გაესინჯა ნაპოვნი ნივთი.

— უჰ, რა კარგ დროს წავაწყდი... ეს ნამეტანია,—წამოიძახა ჟანმა. ხელში შავის ტყავის პორტფელი ეჭირა, ვერცხლის კუთხეებით. ჟანმა გახსნა პორტფელი და თვალიერება დაუწყო. შიგ ათი ბილეთი იყო, თითო ათასფრანკიანი, ქინძისთავით ერთმანერთზედ დაბნეული.

— «კარგ დროს წავაწყდი»—გაიმეორა მან. ჟანმა გაიქნია თავი და განაგრძო: ,,როდესაც ვიფიქრებ, რომ არის ადამიანი, რომელსაც ასეთი პორტფელი აქვს და შიგ ამოდენა ფული ულაგია... ნუ-თუ ეს საცოდაობა არაა? ჟანმა გადაათვალიერა სხვა განყოფილებანი, მაგრამ ცარიელები იყო. არც სურათი, არც სადარბაზო ბარათი, არც წერილი. არავითარი ნიშანი არ სჩანდა, რომ კაცი მიმხვდარიყო, სად უნდა მოეძებნა მისი პატრონი.

— მადლობელი გახლავარ,—სთქვა ჟანმა,—ახლო-კი პოლიციაში გავწევ და უფროსს წარვუდგენ... მართალია, შემაწუხებს ახლა უკან დაბრუნება, რადგან დაღალული ვარ... მაგრამ რა გაეწყობა... ეჰ, მართლაც რომ ბედი არა მაქვს!

ქუჩაში არავინ არა სჩანდა... არც ერთი მგზავრი, არც ერთი დარაჯი. ჟანი მოტრიალდა და გასწია პოლიციის კომისართან.

ძლიერ გაუძნელდეს ჟანს კომისარის ნახვა. მისმა ძონძებმა, გამხდარმა და მიწის ფერმა სახემ ყველას აფიქრებინა, ეს ვიღაც საეჭვო კაცი უნდა იყოსო. ცოტას გაწყდა, რომ ფეხები არ დაუბრაგუნეს და სატუსაღოში არ გაგზავნეს. მაგრამ მისმა სიწყნარემ და თავის დაკავებამ იმდენი ჰქმნა, რომ ბოლოს ძლივს შეიყვანეს უფროსის ოთახში.

—ბატონო კომისარო,—დაიწყო ჟანმა,—აი, ეს მოგიტანეთ. ეს არის ეხლა ქუჩაში ვიპოვე.

რა არის ეგა?

— „აი... ბატონო კომისარო,—სთქვა საცოდავმა ლატაკმა და გაუშვირა თავისი გამხდარი და გაშეშებული ხელი, რომელშიაც პორტფელი ეკავა.

—„კარგი, ვხედავ... შიგ ხომ არაფერი არ არის?

—„ნახეთ თქვენ თვითონ, ბატონო!

კომისარმა გაიტანა პორტფელი, ამოიღო ბილეთები, დასთვალა...

სიამოვნებისაგან თვალები გაუბრწყინდა.

— „უყურეთ ერთი, უყურეთ,—ხმა-მაღლა დაიძახა კომისარმა—აქ 10,000 ფრანკია, უშველებელი სიმდიდრე...

ჟანი ხმას არ იღებდა.

— „როდესაც-კი მომაგონდება, რომ არის ადამიანი, რომელსაც 10,000 ფრ. აქვს... მეცოდება იგი... სთქვა მან ბოლოს.

კომისარი მუშტრის თვალით ათვალიერებდა პორტფელს. ეტყობოდა, რომ გაკვირვებული და თითქმის აღტაცებული იყო.

— „და, მერე, ეს შენ იპოვე? პატიოსანი კაცი ყოფილხარ...კარგი ადამიანი... გმირი... ნამდვილი გმირი...

— „ჰო, ბატონო კომისარო...

— „დიაღ, გმირი... ხომ შეგეძლო?!. გმირი ხარ... როგორ? თქვენი საქციელი გასაკვირველია, შეუდარებელი, გმირული... მე სხვა სიტყვას ვერ ვპოვებ თქვენის საქციელის დასახასიათებლად. ღირსი ხარ მონტიონის ჯილდოსი.. შენი გვარი?

— „ჟან გრენილი,—ბატონო კომისარო.

კომისარმა ხელი გაიწოდა თავის ბიუროსაკენ და განაგრძო:

— „ჟან გრენილი გქვიან? საოცარია... ეს ყველამ უნდა იცოდეს... მუშა ხარ? რა ხელობის კაცი ხარ?

— „ვაი, ჩემს თავს—სთქვა ლატაკმა, სამუშაოს ვერა ვშოვობ.

— „როგორ, უსაქმოთა ხარ? შემოსავალი გაქვს რამე და იმითი სცხოვრობ?

— „ქვეყნის გულ-შემატკივრობითა ვცხოვრობ, ბატონო, დიაღ, მოწყალებით.

— „ოჰ, წყეული, წყეული!—კომისარი დაიღრიჯა და განაგრძო უფრო დაუწყნარებელის ხმით.

— „მაშ... შენ მთხოვარა ხარ?

— „დიაღ, ბატონო.

— „მთხოვარა“! კომისარმა შუბლი შეიკრა.

— „სად ცხოვრობ?.. დაეკითხა ხელ-ახლად.

— „აბა საიდან მექნება თავშესაფარი—მიუგო რცხვენით ჟანმა. მაშ სახლი არა გაქვს?

— „საუბედუროდ, არა მაქვს...

—„მგონი დამცინი, ნუ-თუ მართლა არა გაქვს თავშესაფარი?..

— „გარწმუნებთ, რომ...

— „უნდა გქონდეს ბინა, კანონის ძალით უნდა გქონდეს...

— „ჩემის სიღარიბით არა მაქვს. სამუშაოც-კი არა მაქვს... არავითარი საღსარი არ გამაჩნია ცხოვრებისა... როდესაც სათხოვრად ხელს ვიწვდი... მაძლევენ გროშებს... ამას გარდა მოხუცი ვარ... ავადმყოფი...

— „ავადმყოფი ხარ? ძლიერ კარგი. ამაზედ ლაპარაკს ნუ განაგრძობთ... სნეულება გაქვს, ბინა-კი არა. მაწანწალა ხართ და თან გმირი. ოჰ, ჩვენ არ გვიწერია კანონები გმირისათვის. მაწანწალასათვის-კი გვაქვს. მე იძულებული ვარ კანონის ძალით მოგეკიდო. მართალია, სამწუხაროა ეს ჩემთვის შენის საქციელის შემდეგ, მაგრამ რა ვქნა? ,,კანონი კანონია''. საჭიროა, რომ გამარჯვება კანონიერი იყოს.

ლაპარაკობდა კომისარი და თან პორთველს ათამაშებდა ხელში. შემდეგ განაგრძო:

—,,აი, პორტფელი, შენ ალაგას სხვა ასე არ მოიქცეოდა, დარწმუნებული ვარ. სრულიად არა მგონია, რომ გიჟი იყო. არა... შენი საქციელი ჯილდოს ღირსია და ეს ჯილდო ას სუზედ ნაკლები არ იქნება. მიიღებ კიდეც, თუ პატრონი ვიპოვეთ. მაგრამ მაინც უბინაოდ ყოფნა არ შეიძლება. გესმის, თუ არა? კანონი არ გიბრძანებს, ქუჩაში პორტფელი იპოვე ბანკის ბილეთებით სავსეო. კანონი ბრძანებს, ყველას მუდმივი ბინა უნდა ჰქონდესო. უფრო კარგს იზამდი ამ პორტფელის მაგიერად ბინა გეპოვნა.

— ,,მერე რა?—დაეკითხა ჟანი.

— ,,მერე რა? განიმეორა კომისარმა, მერე ისა, რომ პოლიციაში წახვალ და იქიდგან ხვალ სატუსაღოში წაგიყვანენ.

კომისარმა ზარი დააწკარუნა. შემოვიდა ორი დარაჯი. კომისარმა ანიშნა, რაც უნდა ექმნათ.

ჟანი სატუსაღოში წაიყვანეს. გზაზე სულ კვნესოდა საცოდავი და თან ბუტბუტებდა:

,,მართლაც რომ უბედური ვარ... იმ წყეულ ბურჟუას ნუ-თუ არ შეეძლო უკეთ შეენახა ფული ჯიბეში?!..

ა. ნანეიშვილი.

ჟენევა

ამისათვის ჩვენი მეცადინეობა გადამდებ ავადმყოფობის წინააღმდეგ ბრძოლაში იმას უნდა მოვახმაროთ, რომ ჩვენის სისხლის თეთრ გორველების ენერგია გავაძლიეროთ და ამასთანავე შევამციროთ ყველა ისეთი გარემოება, რომელიც ხელს უწყობს ბაქტერიების გამძვინვარებას. ამ შემთხვევებში საუცხოვოდ მოქმედობს თაფლი, რადგან, ერთის მხრივ აძლიერებს სისხლის თეთრ გორველების ენერგიას და მეორეს მხრივ, ეთერის ზეთისა და ჭიანჭველის სიმჟავის მოქმედებით უშლის ავადმყოფობის ბაქტერიების გამრავლებას.

რადგანაც თაფლი ასე საუცხოვოდ მოქმედობს კაცის სისხლზედ, სასურველია, თაფლი ბავშვების მუდმივ და ჩვეულებრივ საჭმელად გახდეს. მაშინ ბავშვნი გაცილებით უფრო ჯანმრთელნი და მაგარის აგებულებისანი გაიზრდებიან. გარდა ამისა, მრავალ-გვარი გადამდები ჭირიც, ეს ბავშვების ხშირი სტუმარი, მათთვის საშიში აღარ იქნება.

არ შეიძლება აქვე არ აღვნიშნოთ ის შემცდარი აზრი, რომელიც გავრცელებულია არამც თუ დაბალ ხალხში, არამედ ინტელიგენტ ოჯახებშიაც,— ვითომც თაფლი ბავშვებს მუწუკებს უჩენდეს. პირ-იქით, თაფლი სწორედ ასეთ ავადმყოფობის წამალია, და შვილთ მოყვარულნი დედანი ძლიერ კარგს იზამდნენ, რომ ნაცვლად შაქარ-კონფეტებისა, მურაბებისა და აგრეთვე კარაქისა, ხშირად დაძველებულ-დამძაღებულისა, აწვდიდნენ თავიანთ შვილებს თაფლს, რომელიც, გარდა იმისა, რომ სადი საჭმელია, იაფიც არის.

ჯანსად ადამიანისათვის სასარგებლოა, დღეში რომ ოთხჯერ სჭამდეს თაფლს, ჯერზედ თითო სტოლის კოვზს: დილით, სადილს და ვახშმის შემდეგ და ძილის წინ, ხოლო ავადმყოფთათვის საკმარისია ჯერზედ ნახევარ ჩაის კოვზი ყოველ საათს, ან ორი საათის შემდეგ. თაფლი ძრიელ შველის საჭმლის მონელებას და ნამეტნავად მარგებელია მოხუცთა და კუჭით ავადმყოფთათვის. საჭიროა დავძინოთ, რომ თაფლის კეთილი მოქმედება ჩვენს სხეულზედ მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, როდესაც თაფლი თავის-თავად წმინდაა და სხვა გარეშე ნივთიერება არა აქვს გარეული. მაგრამ, სამწუხაროდ, ასეთი წმინდა თაფლის შოვნა ბაზარში მეტად ძნელია და, რომ არ მოტყუვდეს კაცი, სჯობს ფიჭიანი თაფლის ყიდვა. ფიჭა უნდა იყოს თეთრი და გამჭვრეტი: შავ-ფიჭიანის თაფლის ყიდვა იმით არის ცუდი, რომ იმათ უჯრებში, რომლებშიაც უჭველია, რამდენჯერმე იქნება ყოლი გამოსული, რჩება ყოლის პერანგები და განავალიც, საჭმელად, უფრო მავნებელი, ვიდრე სასარგებლო. არც პარკში გამოწურული თაფლი ვარგა, რა წესითაც ამზადებენ ამას უბრალო მეფუტკრენი, რადგანაც გამოწურვის დროს თაფლს თან გასდევს ყვავილის მტვერი,—მართვის საკვებავად დაზოგილი მასალა, რომელიც უხდენს თაფლს სასიამოვნო გემოს და ღირსებას.

შეუდარებელია ცენტროფუგის *) თაფლი, რაციონალურ საფუტკრეში დამზადებული. ასეთი თაფლი ერთხელ-ორჯელ კიდევ იწურება მტკიცე საცერში და ამგვარად სიწმინდის იდეალს დაახლოვებული გამოაქვთ ბაზარში გასასყიდად. ამ ხარისხის თაფლის შოვნა შეიძლება მხოლოდ რაციონალურ—ინტელიგენტ მეფუტკრესთან და მხოლოდ ასეთს თაფლს ექმნება უფლება სამკურნალო თაფლის სახელის ტარებისა.

მეფუტკრე მღვ. ალ. ჯალიაშვილი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“)

19 მარტი.

პეტერბურგი. „მართებლობის განკარგულებათა და კანონთა კრებულში“ დაბეჭდილია უმაღლესად დამტკიცებული დადგენილება, რომლითაც მოსკოვ-იაროსლავ-არხანგელსკის რკინის გზა გადადის გზათა სამინისტროს განკარგულებაში.

სევასტოპოლი. უმაღლესის ბრძანებით დანიშნულია მართებლობის რევიზია აქაურ საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა.

ვლადიმირი. მურომის მაზრაში ვრცელდება მეთევზეობის მრეწველთა არტელები.—გუბერნიის ერობამ დაურიგა მოსწავლე ქალებს გოგოლის თხზულებები და პორტრეტები.

კალუგა. ქალაქის საბჭომ დაადგინა განახლდეს ის ოთახი, სადაც გოგოლს უწერია: „მიცვალებულთა სულნი“.

მოსკოვი. მასწავლებელი ქალი ალარტი, რომელმაც რევოლვერი ესროლა გენერალს ტრეპოვს, დაპატიმრებულ იყო თებერვლის უწესოებაში მონაწილეობისათვის და ამ სამის დღის წინად გენერალის ტრეპოვის მეცადინეობით განთავისუფლებულ იქმნა ავადმყოფობისა და დედის თხოვნის გამო.

სარატოვი. ბევრს ალაგას ზამთრის პირის ნათესი ყანები ხელ-ახლავ უნდა დასთესონ. ხალხს სესხი მისცეს საქონლის გამოსაკვებად.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატაში სატცერმა შეიტანა წინადადება, რომლითაც თანაგრძნობას უცხადებს ბურებს და სთხოვს პრეზიდენტს მოითხოვოს სამედიატორო სამართალი, ისე-კი, რომ ნეიტრალიტეტი დაცულ იქმნას. კოლუმბიის ელჩმა გადასცა გეის პროტოკოლი, რომელშიაც აღნიშნულია ის პირობები, რა პირობებითაც კოლუმბია თანახმა არის, რომ აღიაროს ამერიკის უფლება არხის გაყვანისა.

ვარშავა. ვისლის მხარის გზათა მმართველობას გადაზიდვის გასაძლიერებლად მლავის ნაწილზე ორი შტო გაჰყავს.—ვაჭრობა-მრეწველობის დამხმარე საზოგადოების ვარშავის განყოფილება ამზადებს მოხსენებას უმაღლესის მთავრობისათვის წარსადგენად, რომ იმ მუშათ, რომელნიც საქარხნო კრიზისის გამო უსაქმოდ რჩებიან, სამუშაო აღმოუჩინონ.

მოსკოვი. ბოსიაცკის ქალის საჩივრის გამო, რომელიც 100,000 მან. უჩიოდა ს. ი. მამონტოვს, გაჰყიდეს ამ უკანასკნელის ქონება. ანტოკოლსკის ქანდაკება „ქრისტე პილატეს წინაშე“ და ვიქტორ ვასნეცოვის სურათები არ გაიყიდა. ვასნეცოვის სურათი „გზა-ჯვარედინზე“ იმპერატორის ალექსანდრე III მუზეისათვის შეუძენიათ.

20 მარტი.

პეტერბურგი. ფორმოზის კუნძული შავიჰირის მხრივ საშიშია. შარშან 1901 წ. სახელმწიფო შემნახველ კასებში 7,8 მილიონით მეტი ჰქონია ხალხს შენახული, ვიდრე წინა 1900 წელს.

ლონდონი. სამხედრო სამინისტრო აცხადებს, რომ 17 მარტს ტრანსვაალში, ბარბერტონს ახლო რკინის გზის მატარებელს უბედურება შეემთხვა; მოიკლა 39 და დაიჭრა 45 კაცი.

პრეტორია. მდინარეები მატულობს, რაც ხელს უშლის ჯარით მოძრაობას. ბაიერსი ხელახლავ დაფაცურდა ჩრდილოეთ ტრანსვაალში; იგი გარს შემოერტყა ინგლისელთ პოსტს სპელონკენის ოლქში, მაგრამ განდევნილ იქმნა ბრიტანიის მაშველ გუნდისაგან.

ოდესსა. მაისის მეორე ნახევარში შესდგება ორი საერთაშორისო კრება რკინის გზის მოღვაწეთა. კრებებზე უნდა შეიმუშავონ რუსეთ-გერმანია-ნიდერლანდებსა და რუსთ-გერმანია-ბელგია-საფრანგეთს შუა რკინის გზით მიმოსვლათა საქმე.

დონის-როსტოვი. ელექტრიულ ტრამვაის ვაგონი წააწყდა რელსებზე დადებულს თოფის წამლის კოლოფს და რამდენსამე თოფის ეზალს (პისტონს), რომელთაგან მხოლოდ ერთი გასკდა და გავარდა. წამალს ცეცხლი არ წაჰკიდებია.

ოდესსა. სამხრეთ-რუსეთის სამეურნეო საზოგადოება თხოულობს, რომ ოდესაში მოწვეულ იქმნას მეღვინეთა და მევენახეთა კრება.

ოდესსა. ოდესაში მცხოვრებ ბოლგარიის ძმობამ გადასწყვიტა იდღესასწაულოს 25 წლის თავი ბოლგარიის აღორძინებისა და თავისუფლებისათვის ბრძოლისა და ასის წლის თავი შობიდგან სლავიანოლოგის რუსის ვენელინისა, რომლის ნარწერებსაც გავლენა ჰქონდა ბოლგართა აღორძინებაზედ.

ოდესსა. ერობა უფრო მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში ხუთგან აარსებს გოგოლის სახელობაზე ბიბლიოთეკა-სამკითხველოებს.

დონის-როსტოვი. ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენლებმა დაათვალიერეს წყლის გამოსაყვანი სადგური. წყაროები, რომელთაგანაც წყალია ქალაქში გამოყვანილი აღარ იძლევიან იმდენს წყალს, რამდენიც საჭიროა.

---

*) თაფლის საქაჯავი იარაღი.

პეტერბურგის ბირჟა 18 მარტი.

ვექსილის კურსი 9 თვით:

ლონდონში 10 გირვ. სტ.	94
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,70
ბერლინში ,,	46,30
პარიჟში ,,	37,30
ბირჟის დისკონტი	$4^1/_2$—$6^1/_2$%
4% სახელმწიფო რენტა	$96^5/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% შინაგანი სესხი 1893 წ.	$93^3/_4$,,
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა	—
5% 1-ლ შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	$469^1/_2$ გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$364^3/_4$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	$307^1/_2$ გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	$94^7/_8$
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	—
$4^1/_2$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	—
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$89^1/_8$ გაყიდ.
$4^1/_2$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა	—
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები ,,	
,, კასპიის ამხანაგობისა.	
,, ბაქოს ნავთის საზოგად.	
,, ა. ი. მანთაშევისა და ამხ. ნავთის სამრეწვ. საზოგად.	

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს. ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით)

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში**:

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 54 წ. (8 ს. 52 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. (2 ს. 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 56 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამოს 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58—59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 28 წ. (1 ს. 21 წ.)

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 (11 ს. 43 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ., (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ოთხშაბათობით, ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს. 39 წ.), ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3, ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.). ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5, დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.), ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ. (ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66, ღამის 1 ს. 50 წ. (2 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 4 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.) ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. (7 ს. 45 წ.).

ქუთაისიდგან ბაქო-ტფილისისაკენ: 1) გადის შუადღის 12 ს. 20 წ. (1 ს. 18 წ.) 2)—შუადღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.).

ქუთაისიდგან შორაპნამდე—გადის ნაშუადღევის 3 ს. 30 წ. (4 ს. 28 წ.).

ქუთაისიდგან ბათუმში:

1) მატარ. გადის ღამის 3 ს. 32 წ. (4 ს. 30 წ.) (ამავე მატარებლით შეიძლება შორაპნამდე მიმავალ მატარებლით წასვლა რიონიდგან); 2) გადის საღამოს 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

განცხადება

გ ო რ ი ს ბ ა ნ კ ი

ამით აცხადებს, რომ მომგებიანი ბილეთები პირველის შინაგანის სესხისა №№ $^6/_{6683}$ და $^{21}/_{18927}$ და მეორე სესხისა №№ $^5/_{14614}$ და $^5/_{10904}$, რომელიც ინახება ბანკში და რომელიც გადმოეცა წინად ყოფილ გურიის დრუჟინისაგან, **ამა წლის პირველ ივლისს იქმნება გასყიდული**. მოვიწვევთ იმათ, ვისაც ამ ბილეთებში წილი უდევთ, შეგვატყობინონ, როგორ მოვექცეთ ბილეთებში აღებულს ფულს და თან ისიც იქონიონ მხედველობაში, რომ 1 **ივლისის შემდეგ აღარავითარის პრეტენზიის გამოცხადება აღარ იქმნება მიღებული**. ეს განცხადება შეეხება ყოფილ გურიის დრუჟინის სამხედრო კაცთ: გიორგი ბერიძეს, ივანე და ნიკოლოზ დუმბაძეს, თ. თ. თომასა და სევასტი ერისთავთ, თ-თ. ფარსადანსა და ლევან მიქელაძეებს, იასონ აბაშიძეს, ევსტათი ანთაძეს, გრიგოლ გაბაშვილს და რომანოზ დარჩიას. (3—314—2)

ეკატერინენფელდის (ბორჩალ. მაზრა) **ნიშის ასაშენებლად დაწესებული კომიტეტი** ხელ-მეორედ აუწყებს და სთხოვს ყველას, ვისაც შარშან-წინ გაეგზავნა ხელის-მოსაწერი ფურცლები, საჩქაროდ გამოგზავნონ ან შეწირულებანი, ან მარტო ფურცლები. პირველსაცა და მეორესაც კომიტეტი დიდის მადლობით მიიღებს. ხელის-მოსაწერი ფურცლები საჭიროა მალე დაებრუნოს კომიტეტს სამის წლის ანგარიშის შესადგენად და ეპარქიალურ მთავრობასთან წარსადგენად. ახალი შემოწირულებანი მიღებულია: ბ. მთავარ-მართებლისაგან 100 მ., მ. იოანნე კრონშტადტელისაგან 100 მ., ი. თ. ბოგაჩისაგან 20 მ., მარიამ არღუთინსკისაგან 25 მ., სარაჯოვისაგან 25 მან., ენაკოლოფოვისგან ბორჩალოდან 1 მ. Адресъ: Шулаверы. Комитету по постройкѣ въ Екатериненфельдѣ православной часовны.

თავმჯდომარე კომიტეტისა მღვდელი სტეფ. ბაიდოშვილი.

(3—3)

„GRAND PRIX“
PARIS 1900.

Т-во Высшей парфюмеріи

А. Ралле и К-о

«Кремъ-Ралле»
Лучшій
„Кольдъ-Кремъ“.

წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის-მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი გამოცემული წიგნები:

ამოდის ნათლება, ვაჟა-ფშაველასი	15 კ.
ამბავნი და მოთხრობანი, გრ. ყიფშიძის	15 ,,
ახუნდი, ვაჟა-ფშაველასი	5 ,,
ანტონიოს და კლეოპატრა, შექსპირის	30 ,,
აბო ტფილელი, ე. კ.	30 ,,
Або Тифлисскій, Е. К.	5 ,,
ამბავი მადლის ქვისა	5 ,,
აკიდო საუმწვილო, მოთხრ. ი. გოგებაშვ.	15 ,,
ათონის ივერიის მონასტრის ხელთ-ნაწერი	1 მ. 50 ,,
ბერანჟე, თარგ. გ. გვაზავასი	40 ,,
ბენია	10 ,,
ბუნების საოცარი მოვლენანი, ს. ჯუღელის	15 ,,
ბაში-აჩუკი, აკაკის.	30 ,,
ბუნება სურათებში, ი. ალხაზიშვილის 1 მ.	30 ,,
გლეხი-კაცის ისტორია, III—IV ტ. 1 მ.	20 ,,
გამზრდელი, აკაკის	5 ,,
გასართობი	10 ,,
გოგებაშვილი იაკობ, ზ. ჭ—ის	15 ,,
გუსტავ ვაზა	5 ,,
Грузинскій отрывокъ Калилы и Димны, А. Хахановъ	60 ,,
გიორგი და მიხეილი	10 ,,
Древный Анчисхатскій соборъ.	
ქართველი წმიდანები, გ. იოსელიანის	,, 40
შრომა და ბედნიერება, თარგ. ნინიძის	,, 30
ჩანგი, ვ. აბაშიძის	1 ,,
ჩემი აზრი და ფიქრები, ს. ხუნდაძის.	
Царица Тамара, М. Джанашвили	,, 50
ცისარტყელა, ვ. ცაგარელის	,, 30
ცხოვრების სარკე II, გამოც. ი. იმედაშვილის	1 “
Характеристики и воспоминанія Г. Туманова	,, 50
Карбеловъ	,, 20
ძუძა, ანდერსენის	8 ,,
დამოწმებულნი, თარ. ო. სხოკაძის	1 მ. ,,
დაუჯდომელი წმ. ნინოსი	20 ,,
Двѣ святины въ Кахетіи, Е. К.	10 ,,
Давидъ Гареджели, Е. К.	15 ,,
ეტიუდები, ი. ხუციძის	15 ,,
ელენე, მოთხრობა	5 ,,
Вступленіе Грузіи въ составъ Росс. имперіи, М. Хелтуплишвили	40 ,,
Назрѣвшій вопросъ, Е. К.	20 ,,
ოცი წლის წინედ, გ. წერეთლის	5 ,,
Очерки по истор. Грузин. словесности, т. III Хахановъ.	3 ,,
პატარა ლორდის თავგადასავალი	30 ,,
პატრა ვეფხვის ტყაოსანი.	25 ,,
რამას განდევნა, თარგ. ალ. ს—შვილის	40 ,,
სიტყვიერების თეორია, ეპ. კირიონის და გრ. ყიფშიძის	1 ,,
სპარტაკი, თარგ. ნ. ყიფიანის.	60 ,,
აგრო დღესასწაული	25 ,,
Въ Барсовой кожѣ, Мкинвари	1 р. ,,
ზურაბის კოშკი, ივ. ბ—ძის.	3 ,,
Заслуги Грузинскаго монашества, Е. К	30 ,,
თხზულებანი ვაჟა-ფშაველასი	1 მ.
თეორია სიტყვიერებისა, კელენჯერიძის	40 ,,
თამარ-დედოფლის სამკაული	10 ,,
თამარ დაზნელი, ან. ფურცელაძის	50 ,,
ისტორია ქართულ სტამბებისა.	15 ,,
იანიჩარი, დ. ნახუცრიშვილის.	40 ,,
კონსპექტები საქართველოს ისტორიიდგან I—II ნაწ. ქუთათელაძის	60 ,,
კოპერნიკიდან დარვინამდე	10 ,,
კანდელი, მ. ლელაშვილის	15 ,,
Краткій очеркъ исторіи Грузинской церкви, Е. К.	1 р. 50 к.
Краткій очеркъ Грузинской народной музыки, И. Каргаретели	30 ,,
კუბიკები ქართულის ანბანის	1 მ. 20
ლექსები განდეგილის	,, 50
ევდოშვილის	,, 50
რ. აბაშიძის	,, 60
დ. გაბრუაშვილის	,, 25
მელის წიგნი, კ. თავაიშვილის	,, 40
მუშათა კითხვა	,, 15
მოგზაურობა იერუსალიმში, დეკ. პ. ყონხოშვილის	1 ,,
მოძღვრებანი, ი. გამრეკელის.	,, 40
მეცნიერებისათვის წამებულნი	1 ,,
Мцхетъ и его Соборъ, А. Натроева	1 50
ნელო და პატრაში, თრ. ელ. წერეთლის	,, 10
ნათელა, აკაკის	,, 20
ნიკოლოზ ნიკოლაძე, ზ. ჭ—ის	,, 20
ნამდვილი სამსახური პოტაპენკოსი	,, 40
Новая постановка педагогическаго дѣла	,, 20
სამი პოემა, ან. ფურცელაძის.	,, 50
სხივი წარსულის, ი. გოგებაშვილის.	,, 5
საარაკო თავგადასავალი ტანტის მემკვიდრის, ი. გოგებაშვილის	,, 10
სახუმარო გასართობი	,, 10
სამეგრელოს აღწერა, თარ. ა. ჭყონიასი	1 ,,
სამხრეთი საქართველო, ზ. ჭ—ის	,, 30
საუმწვილო ამბები, ეკ. გაბაშვილის.	,, 50
სუმბული, ს. ქვარიანის.	,, 20
ტარტიუფი, თარგ. ივ. მაჭავარიანისა	,, 50
[illegible], მ. ჯანაშვილის	,, 15
ქართული სახალხო სიმღერები, ი. კარგარეთელის	,, 50
ქრისტინე, ე. ნინოშვილის	,, 20
ქართული მწერლობა, მ. ჯანაშვილის	,, 40
ქეთო და სოფო, საუმწვილო მოთხრობა	,, 5
ქართველების გათათრება, ზ. ჭ—ის	,, 25

მთავრობის ნება-დართვით მომავალ 15 მარტს გაიხსნება ქ. ტფილისში

ს ა მ ე უ რ ნ ე ო ს ა ს წ ა ვ ლ ე ბ ე ლ ი

ბაღოსნობის, მევენახეობის, მებოსტნობისა და მეფუტკრობისა, რომელშიაც მთელი სწავლა დამთავრდება **რვა თვეში** (დაიწყება 15 მარტს და გათავდება 15 გიორგობისთვეს). სკოლაში მიიღებიან რუსულის წერა-კითხვის მცოდნე ყმაწვილები, არა ნაკლებ 15—16 წლისანი. ვინც სწავლას კარგად გაათავებს, მიეცემა მოწმობა. ფასი მთელის სწავლისა **რვა თუმანია**. ვისაც ჰსურს მიიღოს სკოლის დაბეჭდილი წესდება, უნდა გამოგზავნოს 7 კაპ. მარკა. თხოვნები მიიღება 10 მარტამდის, ჯერით.

ადრესი: Въ Тифлисъ, Завѣд. Ивану Павловичу Ростомашвили (Давидов. переулокъ № 20 (10—301—6.)

Дозволено цензурою. Тифлисъ 20 мар. 1902 г. Типографія А. М. Сударевой, въ Тифлисѣ, Дворц. ул., д. груз. Дворянства. დროებითი რედაქტორი ა. ი. სარაჯიშვილი. გამომცემელი ი. ჭავჭავაძე.